ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიტერატურული

გაზეთი
№ 5 1985 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედა-სამშობლო გვეძახის!

პლაკატი მხატვარ ირაკლი თოდაძისა.

კომუნისტურმა პარტიამ მიიღო ენერგიული და ქმედითი ზომები აგრესიის მოსაგერიებლად. შეიმუშავა ჰიტლერელების განადგურების პროგრამა, რომელიც ჩამოყალიბებული იყო სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და ს.კ.პ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 29 ივნისის დირექტივაში.

ჩვენი საქმე სამართლიანია. მტერი განადგურებული იქნება. გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება!

მთელი ქვეყანა აღსდგა ვერაგი და ძლიერი მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საინფორმაციო ცნობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

1985 წლის 23 აპრილს გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. პლენუმზე გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი, რომელმაც გააკეთა მოხსენება „სკკპ მორიგი, XXVII ყრილობის მოწვევისა და მის მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული ამოცანების შესახებ“.

ამ საკითხის გამო კამათში გამოვიდნენ ამხანაგები ვ. ვ. შჩერბიცკი — უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ვ. გრიშინი — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, დ. ა. კუნაევი — ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. ი. ვოროტნიკოვი — რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ე. ა. შევარდნაძე — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ლ. ნ. ზაიკოვი — სკკპ ლენინგრადის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ე. ი. კლიმჩენკო — ვ. ი. ლენინის სახელობის საწარმოო გაერთიანება „მინსკის სატრაქტორო ქარხნის“ მეინსტრუმენტე ზეინკალი, კ. გ. ვაინო — ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ა. პ. ფილატოვი—სკკპ ნოვოსიბირსკის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, ვ. კ. მესიაცი—სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრი, ა. ვ. ვლასოვი—სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, პ. ნ. ფედოსეევი — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, ბ. ვ. ბალმონტი — ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის მინისტრი.

პლენუმმა მ. ს. გორბაჩოვის მოხსენების გამო მიიღო დადგენილება, რომელიც პრესაში ქვეყნდება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გადაიყვანა ვ. მ. ჩებრიკოვი ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობიდან პოლიტბიუროს წევრად, აირჩია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები — ი. კ. ლიგაჩოვი და ნ. ი. რიჟკოვი ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებად.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი ს. ლ. სოკოლოვი აირჩია ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი ვ. პ. ნიკონოვი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

ამით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა მუშაობა დაამთავრა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება

სკკპ მორიგი, XXVII ყრილობის მოწვევის შესახებ

მოისმინა და განიხილა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება „სკკპ მორიგი, XXVII ყრილობის მოწვევისა და მის მომზადებასა და ჩატარებასთან დაკავშირებული ამოცანების შესახებ“, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ადგენს:

1. მოწვეულ იქნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი, XXVII ყრილობა 1986 წლის 25 თებერვალს.

2. დამტკიცდეს ყრილობის შემდეგი დღის წესრიგი:

1) სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და პარტიის ამოცანები — მომხსენებელი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. მ. ს. გორბაჩოვი.

2) სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის ანგარიში — მომხსენებელი სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე ამხ. გ. თ. სიზოვი.

3) სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის შესახებ.

4) სკკპ წესდების ცვლილებათა შესახებ.

5) სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1986-1990 წლებისა და 2000 წლამდე პერსპექტივის ძირითად მიმართულებათა შესახებ — მომხსენებელი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ნ. ა. ტიხონოვი.

6) პარტიის ცენტრალური ორგანოების არჩევნები.

3. დაწესდეს სკკპ XXVII ყრილობაზე წარმომადგენლობის ნორმა: ერთი დელეგატი 3670 პარტიის წევრისაგან.

4. სკკპ XXVII ყრილობის დელეგატთა არჩევა მოხდება პარტიის წესდების თანახმად დახურული (ფარული) კენჭისყრით საოლქო, სამხარეო, პარტიულ კონფერენციებსა და მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობებზე. სკკპ XXVII ყრილობის დელეგატების არჩევნები უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთისა და ყაზახეთის კომპარტიებისაგან მოეწყობა საოლქო პარტიულ კონფერენციებზე.

საბჭოთა არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტის, შინაგანი და სასაზღვრო ჯარების პარტიულ ორგანიზაციებში შემავალი კომუნისტები სკკპ XXVII ყრილობის დელეგატებს ირჩევენ შესაბამის ტერიტორიულ, პარტიულ ორგანიზაციებთან ერთად საოლქო, სამხარეო პარტკონფერენციებზე ან მოკავშირე რესპუბლიკათა კომპარტიების ყრილობებზე.

საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის საზღვარგარეთ მყოფი ნაწილების პარტიულ ორგანიზაციებში შემავალი კომუნისტები სკკპ XXVII ყრილობის დელეგატებს ირჩევენ შესაბამისი საჯარისო შენაერთების პარტიულ კონფერენციებზე.

5. მოეწყოს სკკპ XXVII ყრილობის წინა საანგარიშო-საარჩევნო კამპანია შემდეგ ვადებში: კრებები პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში — ა. წ. სექტემბერ-ნოემბერში; რაიონული, საქალაქო, საოკრუგო პარტიული კონფერენციები ნოემბერ-დეკემბერში: საოლქო, სამხარეო პარტიული კონფერენციები — 1985 წლის დეკემბერ-1986 წლის იანვარში; მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობები — 1986 წლის იანვარში-თებერვლის დამდეგს.

6. საანგარიშო-საარჩევნო კრებებზე, კონფერენციებზე, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ყრილობებზე ღრმად და ყოველმხრივ განიხილონ პარტიის XXVI ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებათა შესასრულებლად გაწეული მუშაობა, საფუძვლიანად იმსჯელონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პარტიული ხელმძღვანელობის საკითხების, ორგანიზაციულ-პარტიული, იდეოლოგიური მუშაობის მდგომარეობის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ანგარიშგება-არჩევნების კამპანიის დროს პარტიული ორგანიზაციების, მშრომელთა კოლექტივების ძალისხმევა უნდა მოხმარდეს იმას, რომ წარმატებით დავამთავროთ 1985 წელი და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედი, დროულად და ხარისხიანად მოვემზადოთ მეთორმეტე ხუთწლედის გეგმების შესასრულებლად, ეკონომიკური და სოციალური განვითარების, წარმოების ყოველმხრივი ინტენსიფიკაციის საკვანძო პრობლემების გადასაჭრელად მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების ფართო დანერგვის, დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის, სახალხო მეურნეობის ყველა რგოლში ორგანიზებულობის, დისციპლინისა და წესრიგის განმტკიცების საფუძველზე. უზრუნველყოთ კომუნისტთა ავანგარდული როლი საყრილობო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებაში, იმ საგულისხმო თაოსნობათა საქმიანი მხარდაჭერა, რომელთა მიზანია შინაგანი რეზერვების გამოვლენა და უკეთ გამოყენება.

პარტიული კრებები, კონფერენციები და ყრილობები უნდა მიმდინარეობდეს საქმიანობის, პრინციპულობის, პარტორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელი ორგანოების მუშაობის შეფასებისადმი თვითკრიტიკული მიდგომის ვითარებაში. საჭიროა, ანგარიშგება-არჩევნებმა ხელი შეუწყოს პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების შემდგომ დამკვიდრებას, შინაპარტიული დემოკრატიის ზემოდან და ქვემოდან მომავალი კრიტიკის განვითარებას, კომუნისტთა აქტიურობისა და ინიციატივის ზრდას, თავიანთი ორგანიზაციებისა და მთლიანად პარტიის საქმეებისათვის მათი პასუხისმგებლობის ამაღლებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ სკკპ XXVII ყრილობის სამზადისი ჩაივლის მაღალ ორგანიზაციულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, პარტიის რიგების მჭიდრო შეკავშირების, პარტიისა და ხალხის ურღვევი ერთიანობის ნიშნით.

დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავის ზეიმი თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№5 (581) მაისი. 1985

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

ხუტა ბერულავა

●

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა“, 1985 წ.

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა გახტაძე (პ/მგ. მდივანი), ვასილ გვეტაძე, ნათელა გიორგობიანი, თენგიზ გოგოლაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, სერგო დურმიშიძე, ვახტანგ ესვანჯია, ოთარ თურქია, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.

გამარჯვება

ეროვნული ბიბლიოთეკა



ირაკლი ციციშვილი,
საბჭოთა კავშირის გმირი, პროფესორი.

რაც უფრო მეტად გვაშორებს დრო დიდ სამამულო ომს, მით უფრო ცხადად ვლინდება, თუ რაოდენ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა იგი ჩვენი ქვეყნის, და, საერთოდ, კაცობრიობის ისტორიაში.

წელს საბჭოთა ხალხი, სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან და მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად, ზეიმით აღნიშნავს ომში გამარჯვების 40 წლის თავს. ეს იყო გამარჯვება თავისი მასშტაბითა და ძალით უმაგალითო ბრძოლებში. ეს იყო უსაზღვრო გმირობა, მხნეობა, თავდადება და შეუპოვრობა საბჭოთა ხალხისა, რომელმაც ყველაფერი გააკეთა გამარჯვებისათვის. ეს იყო გამარჯვება ჩვენი სოციალისტური წყობილების, ეკონომიკის, იდეოლოგიისა. მსოფლიოში სწორედ ამიტომაც გამოიწვია მან მთელი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა და, არსებითად კოლონიალური სისტემის მოსპობა.

დღეს დასავლეთში შეიმჩნევა ჩვენი დიადი გამარჯვების მნიშვნელობისა და საბჭოთა კავშირის ომში გადამწყვეტი როლის შემცირების ტენდენცია. ჩემთვის, ვინც მონაწილეობდა ისეთ უდიდეს ოპერაციებში, როგორიცაა მოსკოვის დაცვა და ზამთრის შეტევა, ბრძოლები სტალინგრადთან, კურსკის რკალზე, დნეპრის გადალახვა და სხვა, ასეთი განცხადება საოცარია და აღმაშფოთებელი.

1418 დღე და ღამე გრძელდებოდა დიდი სამამულო ომი. ეს არის 20 მილიონი ადამიანის მსხვერპლი, ეს არის 1740 დანგრეული და გადამწვარი ქალაქი და დაბა, მიწიდან აღგვილი 70 ათასი სოფელი...

ეს ყველაფერი თანდათან ისტორიის კუთვნილება ხდება. უკვე დღესაც მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ომზე მსჯელობს მხოლოდ წიგნების, კინოფილმებისა ან ომის ვეტერანთა ნაამბობის მიხედვით. მაგრამ ომის ვეტერანთა რიცხვი ბუნების გარდაუვალი კანონის თანახმად, მცირდება.

სამაგიეროდ მადლიერი შთამომავლობა არასოდეს დაივიწყებს, თუ რა ფასად იყო მოპოვებული უფლება ბედნიერებასა და მშვიდობიან ცხოვრებაზე. ყოველ ქალაქსა და სოფელში, მთებსა და მინდვრებში, ყველგან, სადაც კი ბრძოლები ჰქუხდა, დღეს აღმართულია დიდებული მონუმენტები — მადლიერი ხალხის სახსოვარი იმ ჭაბუკებისა, რომელთაც შესწირეს სამშობლოს თავიანთი სიცოცხლე.

მე განვიცადე ომის მთელი სიმძაფრე. მრავალჯერ ვიყავი დაჭრილი და პირისპირ შევხვედრივარ სიკვდილსაც, მაგრამ ომის პერიოდში ასევე მრავალჯერ განვიცადე ისეთი ბედნიერი წუთები, რომ ყველა ტკივილი მავიწყდებოდა. რამდენჯერ მომიხდა გერმანელთა საშინელ ოკუპაციაში მყოფი ქალაქების განთავისუფლება! როდესაც გვეგებებოდა მრავალტანჯული და უსაზღვროდ გაბედნიერებული ხალხი, როდესაც ვხედავდი მოხუცების, ქალების, ბავშვების აცრემლებულ სახეებს, გული ივსებოდა სიხარულით, ეს სიხარული დღემდე შემომრჩა და მეხმარება ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მაგონდება ომის ყველაზე მძიმე პერიოდი. ეს იყო 1941 წლის ოქტომბერი, როცა მტერი მოსკოვის მისადგომებიდან სულ რაღაც 25 კილომეტრის სიშორეზე იმყოფებოდა. მე მაშინ ვიყავი მეთაური მესანგრეთა მცირე რაზმისა, რომელსაც დავალებული ჰქონდა მოსკოვის დაცვა მესანგრეთა საშუალებებით. მცირე შესვენების წუთებში ჩვენ, ბუნებრივია, ვმსჯელობდით, თუ რა მოხდა, რატომ იხევს უკან ჩვენი ჯარი, რატომ არის მტერი მოსკოვთან...

აქ კი, ჩემი აზრით, ყველაზე საგულისხმოა, რომ მაშინაც, იმ მძიმე დღეებში, ჩვენ, ოცწლიან ბიჭებს, არც ერთი წუთით არ შეგვპარვია ეჭვი, რომ ჩვენ გავიმარჯვებდით. დიახ, რწმენა გამარჯვებისა იყო მტკიცე და შეურყეველი. ცხადია, ეს იყო საყოველთაო მოვლენა. მე ხშირად მინახავს დასახიჩრებული და ცეცხლისაგან შეტრუსული მებრძოლები, ვგრძნობდი მათ მისწრაფებას, დაბრუნებოდნენ თავიანთ საბრძოლო პოსტებს. ამის მიზეზი კი იყო რწმენა, რწმენა მტერზე უცილობელი გამარჯვებისა.

ეს იყო ჩვენი საქმის სიმართლის, ჩვენი წყობის სიმართლის რწმენა. ეს იყო ბავშვობიდანვე შთაგონებული აზრი, რომ ადრე თუ გვიან, კეთილმა უნდა სძლიოს ბოროტს, რომ სინათლე მაინც ჩაანშობს წყვდიადს, და გონება ყოველთვის იმარჯვებს უგუნურებაზე. ამ რწმენით იბრძოდა საბჭოთა ხალხი. ამ რწმენამ მოგვაგებინა ომი.

მტერი ბარბაროსულად ანადგურებდა საბჭოთა მიწაზე ისტორიისა და კულტურის ძეგლებს. მოვიგონოთ თუნდაც კიევის პეჩერის მონასტრის XI-XVIII საუკუნეთა ძეგლების დაზიანება, ჩერნიგოვის XI საუკუნის მაცხოვრის ტაძრის განადგურება, ძველი ნოვგოროდის კრემლის დანგრევა, ისტრის ახალი იერუსალიმის მონასტრის აფეთქება, ნერედიცას მაცხოვრის ტაძრის მოსპობა...

საბჭოთა ხალხი ომის უძნელეს პირობებში ყველაფერს აკეთებდა, რათა დაეცვა კულტურული ფასეულობანი. აღმოსავლეთში იყო ევაკუირებული ლენინგრადის ერმიტაჟის, მოსკოვის კრემლის, რევოლუციის მუზეუმის, ისტორიული მუზეუმის ექსპონატები. ბლოკადის ალყაში მოქცეული, შიმშილითა და სიცივით დატანჯული ლენინგრადის მოსახლეობა სათუთად იცავდა ძეგლებს ქუჩებსა და მოედნებზე, მორიგეობდნენ სახლების სახურავებზე, რათა დაეცვათ ისტორიული შენობები ხანძრისაგან.

თვითონ მებრძოლებიც იჩენდნენ საოცარ მზრუნველობას ძეგლებზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ათასობით სიცოცხლე შეეწირა პოლონეთის ულამაზესი ქალაქის — კრაკოვის გადარჩენას. ან მოვიგონოთ დრეზდენის გალერეის ბრწყინვალე სურათების გადარჩენის ფაქტი.

ეს ყოველივე ასეც უნდა იყოს. საბჭოთა ხალხი იცავს თავის კულტურულ მემკვიდრეობას და ასევე მზრუნველობით ეპყრობა სხვა ხალხის კულტურას. ყოველი ძეგლი არა მარტო აღნიშნავს რაიმე მნიშვნელოვან თარიღს ან მოვლენას, ამასთანავე იგი მიმართულია მომავლისკენ და თითქოს მიმართავს შთამომავლობას — იყავით წინაპართა ღირსეული მემკვიდრეებიო.

განვლილი ომის უმთავრესი გაკვეთილი მაინც ის არის, რომ ომი არის უდიდესი ბოროტმოქმედება კაცობრიობის წინაშე და იგი არ უნდა განმეორდეს. მე მჯერა მომავლისა, მჯერა, რომ გონება და კეთილი ნება გაიმარჯვებენ, მაგრამ კაცობრიობა ხშირად იჩენდა უდარდელობას. ახლა კი ეს აღარ შეიძლება. მთელი მსოფლიოს გონიერ ადამიანთა, ყველა ჩვენგანის ვალია, იბრძოლოს მშვიდობისათვის, იბრძოლოს კაცობრიობის მიერ შექმნილი კულტურისა და ცივილიზაციის გადასარჩენად, დედამიწაზე სიცოცხლის გადასარჩენად.

„დროშის“ მკითხველებო, ჩემო ძვირფასო მეგობრებო, გილოცავთ სახალხო დღესასწაულს — გამარჯვების ორმოცი წლისთავს!

ქართველი გენერლები დიდ სამამულო ომში

პორფილე ჩანჩიბაძე

ალექსი ინაური

გიორგი ლეონიძე

მაიორ ალექსი ინაურს

დასავლეთის ფრონტზე დიდი სახელი გაითქვა მამაცი მაიორის ინაურის პოლკმა. ინაური დღეს მეოცდაერთედ — გადავიდა შეტევაზე.

გაზეთიდან.

ომგადახდილო მხედარო,
ჭეშად არ გინდა ქადება,
ტყვიის წინ მკერდი გიჭირავს,
გული არ შეგიქანდება.

ავთანდილივით იქა ხარ,
სად ცხარე ბრძოლა შენივთდა.
შენ გაახარე ბელადი,
პირს დიმი უკრთის შენითა.

ეგ ხმალი მაღლა შებმული
მტრის თავზე მკრთალი
არწივად,
ბელადის ფოლადისაა,
მისთვის მხიბრძვის
ხანგრძლივად.

სამშობლოს სახელს ღაღადებს,
მისთვის აქვს ბასრი კვეთება,
მამულის დამრბევ ურდოებს
თვალებში დაეფეთება!

ბრძოლაში, თითქოს
ქორწილში,
შეხვალ და ტყვიის მდერასა
ყურს არ მიუგდებ... მტრის
რაზმებს
ზედ გადააფრენ მერანსა.

დამძგერებელო, გამტეხო,
მსგავსო ღვარის და ქარისა,
გორელ ქალის რძით ნაწოვო,
გაზრდილო ლიახვ-მტკვარისა!

დედა პირკოცნას გიგზავნის,
მოკითხვას შენი ქვეყანა,
ლექსს ვატან ქართლის ნიავსა,
თუ სადმე შემოგეყარა...

1941 წელი

ვლადიმერ ჯანჯღავა

გალაქტიონ ალფაიძე

ერმილე კობერიძე

მელიტონ ქანთარიას ერთხელ ვკითხე: პირველად რა გაიფიქრე, როცა რაიხსტაგის თავზე აღმართავ — დროშა ჩაგაბარეს-მეთქი. არც უფიქრია, ისე მიპასუხა:

— ის, რომ ქართველი ვიყავი.

სახეზე გაოცება რომ შემატყო, ერთხანს ოდნავ მოწკურული თვალებით მიყურა, თითქოს რაღაცას იგონებსო და მერე დაუმატა:

— რატომღაც მეგონა, ეს ამბავი უცებ მთელ საქართველოში შეიტყვეს — ჩემს ჯვარსა და წალენჯიხაშიც, აქ, სოხუმსა და თბილისშიც... ასე გამიგონია და ასეც არის, ალბათ — ყველაზე დიდი განსაცდელისა და ყველაზე დიდი სიხარულის ჟამს ჩვენებურ კაცს თავისი კუთხე და ახლობლები აგონდება... — გაჩუმდა, თუმცა ეტყობოდა, სათქმელი დამთავრებული არ ჰქონდა.

— და კიდევ... — სიტყვის გაგრძელება დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. კარგა ხანს ვდუმდით. მერე, ჩანდა, სათქმელი მაინც არ მოეშვა და თვითონაც მის ნებას დაჰყვა. ოღონდ ეს არის, ჩაფიქრებულმა ისე დაიწყო, ეტყობოდა, ყოყმანისათვის თავი საბოლოოდ ვერ დაეღწია:

— გამოგიტყდები, იმ წუთას ერთი სული მქონდა, როგორმე გამეგო მე, ქართველი კაცი, შემთხვევით მოვხვდი იმათ შორის, ვისაც ასეთი ნდობა ერგო თუ...

მაინც არ დაამთავრა. მაგრამ იმას, რაც სათქმელს დააკლო, რა დიდი მიხვედრა უნდოდა.

...ერთ ქუჩაზე ვცხოვრობთ. სოხუმისთანა ქალაქის მასშტაბით კი მეზობლებადაც ვითვლებით — ჩვენს ეზოს ორი, არც ისე დიდი სახლია ბოლოდ და ხშირად ვპოულობთ ერთმანეთს, ან სამსახურში მიმავალნი, ან უკანმობრუნებულები.

რაშვიათად, რომ ასე ოდნავადაც ვერ შეეცალოს კაცი უაღრესად დიდმა პოპულარობამ. ისევ ისეთი ჩუმი და თავშდაბალია.

ამას წინათ მაინც ვკითხე: პოპულარობას თუ შეეჩვიე-მეთქი.

გაიცინა და თქვა:

— შე კაი კაცო, 40 წელი სახელს კი არა, რას არ შეეჩვევიო.

ბუნებრივია, ვისაც მელიტონ ქანთარიასთან შეხვედრა მოუწევს, ყველა იმის ცდაშია, მისგან რაიხსტაგის იერიშის ამბები მოისმინოს. ისიც გახსოვდეთ, რომ ოთხი ათეული წელი გრძელდება ეს. ამიტომ, თუ მოახერხა, თავს საერთოდ არიდებს ამ ამბებზე საუბარს, დაწვრილებით მოყოლას კი მით უფრო.

ლეგენდარული კაცი

მიხეილ ეგოროვი და მელიტონ ქანთარია (მარჯვნივ). 1965 წ.

მელიტონ ქანთარია

ერთხელ ასე მითხრა: ვინც გაცხარებული ბრძოლის ეპიზოდებს დაწვრილებით აღიწერს და სათქმელს მთელი საათი მოუნდება, ბევრი არ დაუჯეროო. არა, განა იმიტომ, რომ ასეთი რამ კაცს ავიწყდება. უბრალოდ, მაშინ წვრილმანების აღბეჭდვას გონება ვერ ახერხებს. მაშინ ფიქრი ტყვიაზე უფრო სწრაფია და გარდახდილის დაწვრილებით დამახსოვრებას ვერ ასწრებ. ეს მერე უნდა აღიდგინო გონებაში. აქ კი არ იქნება, შეცდომა არ დაუშვა. ყოველივეს ზუსტად აღდგენა შეუძლებელია. რაც შეეხება რაიხსტაგის უკანასკნელ შტურმს, უტყუარი აი, რა არის:

1945 წლის 30 აპრილი. 21 საათი და 50 წუთი.

ეს ზუსტია. როცა მიხეილ ეგოროვმა და მე რაიხსტაგის გუმბათზე დროშა აღვმართეთ, ორივემ საათს დავხედეთ. უნებლიედ თუ მოფიქრებულად, ამის თქმა ახლა ძნელია. ალბათ, უფრო ინსტიქტურად. ისე კი, ის ბრძოლა მართლა არ გავდა სხვას, — განაგრძო მელიტონმა. — ის, როგორ გითხრა... მართლაც სასტიკი იყო. აი, ასეთ ბრძოლაზე ითქმის — კბილებით ჭამდნენო ერთმანეთს. თუ შეიძლება ამის წარმოდგენა, ნამდვილად ცეცხლის ზღვაში მივცურავდით. ყოველი ნაბიჯი, კიბის ყოველი საფეხური, ყოველი სართული ვინ მოსთვლის, რამდენი ვაჟკაცის სიცოცხლის ფასად დაგვიჯდა. რაიხსტაგს ხომ ნარჩევი ესესელები იცავდნენ.

ჩვენც კარგად ვიცოდით და მტერმაც, რომ მისი დღეები დათვლილი იყო და რაიხსტაგის აღებას თუ აუღებლობას ომის ბედზე უკვე გავლენის მოხდენა არ შეეძლო, მაგრამ ისიც იცოდა ორთავე მხარემ — რაიხსტაგის დაცემა მაინც საბოლოო წერტილის დასმა იქნებოდა. იმ ბრძოლის განსაკუთრებული სისასტიკეც სწორედ ამან განაპირობა.

მერწმუნეთ, ლამაზი სიტყვის გამო კი არ ვამბობ, მელიტონს თავისთავზე ლაპარაკი მართლა არ უყვარს. მაგრამ მიხეილ ეგოროვის, ლეიტენანტ ბერესტის ბიჭების — დროშის აღსამართავად მიმავალ ეგოროვსა და ქანთარიას „ტყვიების ქალთა“ რომ გადააფარეს, ბატალიონის მეთაურის ნეუსტროევის, 756-ე პოლკის მეთაურის პოლკოვნიკ ზინჩენკოს, 150-ე დივიზიის მეთაურის გენერალ შატილოვისა და მისი თანამებრძოლების შესახებ სიტყვას თუ ჩამოუგდებ, სათქმელი არ გამოელევა.

განახათ, როგორ უციმციმებს თვალები, როდესაც მეგობრებზე ჰყვება, ან როგორ მოეღრუბლება სახე იმათ გახსენებაზე, ვინც ჩვენს შორის უკვე აღარ არის.

მაღალი თუ დაბალი ჩინის უახლოესი თანამებრძოლები არაერთხელ მოუწვევია მელიტონს სოხუმში, რომელიც კარგა ხანია მის მეორე სამშობლოდ იქცა.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების მე-20 და 30-ე წლისთავებზე მარტო მელიტონი კი არა, მთელი აფხაზეთი მასპინძლობდა ეგოროვს, შატილოვს, ნეუსტროევსა და სხვებს, რომლებიც მისი მოწვევით ჩამოვიდნენ. აფხაზეთის თითქმის ყველა რაიონსა და ქალაქში მოუწყვეს მაშინ გულითადი შეხვედრა რაიხსტაგის გმირებს.

მელიტონ ქანთარიას შესახებ ბევრი დაწერილა, თანაც, ვინ მოსთვლის, რამდენ ენაზე და რამდენ ქვეყანაში.

ეს ბუნებრივიცაა, რადგან მისი გმირობის ამბავმა ხომ მთელი მსოფლიო მოიარა.

და ყველა ნარკვევისა თუ ლექსის, დოკუმენტური მოთხრობისა თუ წერილის გმირია მელიტონ ქანთარია — მეომარი.

ეს მთლად სწორი არ უნდა იყოს.

იგი, უპირველეს ყოვლისა, მშრომელი კაცია.

ასეთი იყო ომამდე და ასეთია დღესაც.

კარგი გუთნისდედისაგან არ შეიძლება ცუდი მებრძოლი დადგეს, და არც პირიქით.

1941 წლის ივნისიდან იარა მან ომის მძიმე გზებზე და თან დაატარებდა მიწის, შრომის სიყვარულს.

ოჩამჩირის რაიონის სოფელ აგუ-ბედიის კოლმეურნეები ახლა სიხარულით იგონებენ იმ დღეებს, მსოფლიოში სახელგანთქმული კაცი მათ გვერდით რომ შრომობდა პირველ ომისშემდგომ წლებში. იგი ბრიგადირიც იყო და რიგითი კოლმეურნეც, რამე პრივილეგიაზე არასოდეს არ უფიქრია.

შემდეგ სამი წელიწადი ტყვარჩელის № 2 შახტში ქვანახშირის ლავას ებრძოდა, ებრძოდა, რადგან მაშინ მუშახელი აკლდა ტყვარჩელის მაღაროებს. გმირის მაგალითს ბევრმა ახალგაზრდამ მიბაძა იმ წლებში.

მერე ოჩამჩირეს, სადაც დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობდა მელიტონი თავისი ოჯახით, ზღვამ შეუტია. ერთიანად ჩამორეცხა ქვიშნარი, გზატკეცილსა და ქალაქის გარეუბანს დაემუქრა.

საჭირო გახდა სასწრაფო ზომების მიღება. მშენებელ-ნაპირგამმაგრებელთა შორის, მელიტონი ერთ-ერთი პირველი იყო. მისმა ავტორიტეტმა, უშუალო მონაწილეობამ, ცხადია, დიდად უშველა საქმეს.

დიახ, უპირველეს ყოვლისა, იგი მშრომელი კაცია.

მშვიდობიან შრომაში მოპოვებული წარმატებებისათვის საბჭოთა კავშირის გმირი მელიტონ ქანთარია ლენინის მეორე ორდენითა და მედლებითაა დაჯილდოებული.

მარტო საბრძოლო დამსახურებისათვის როდი აურჩევიათ თანამემამულეებს იგი ორჯერ — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და ხუთჯერ — აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ასე ცხოვრობს და შრომობს აფხაზეთის დედაქალაქში ეს ლეგენდარული კაცი, რომელმაც, მართალია, საპენსიო ასაკს გადააბიჯა, მაგრამ კვლავ ახალგაზრდულად ერჩის გულიცა და ღონეც.

ზურაბ ნაყოფია,
„დროშის“ სპეციალური კორესპონდენტი.



ვასილ გვეტაძე

მოსკოვის მისადგომებთან

მთელი ოთხი ზამთარი გაგვატარებინა ომმა სანგრებსა და ბლინდაჟებში. გრძელმა და სახიფათო ჯარისკაცულმა გზამ, თავისი აღმართ-ჩაღმართებით, პირდაპირ გულზე გადაიარა. გასაჭირიც ბევრი გვანახა და შიშიც.

ხიფათსაც შევეჩვიეთ, მოუთმენელის მოთმენასაც, სანგარში ზეზეურად ძილსაც, სიკვდილის სიახლოვესაც, იმასაც, საფრიდან რომ ამოხოხდები და ყუმბარებით გადახნულ ველზე გახვალ დაჭრილი ამხანაგის მისაშველებლად.

ისე, ნურავინ იტყვის, ომის გზაზე სიარული არ გამჭირვებიაო.

გაგანია ტყვიის ზუზუნში ვერავინ შევა გახარებული. სიხარული და ომი საკმაოდ შორი-შორსაა ერთიმეორისაგან.

მაგრამ თავის საქმეს აკეთებს მოვალეობა და სამშობლოს სიყვარული. მით უმეტეს მაშინ, როცა იცი, მართალ საქმეს აკეთებ. აკეთებ იმას, რისიც გჯერა.

ამიტომ ეფარებოდნენ ჩვენი მებრძოლები მტრის ამბრაზურებს და უწვებოდნენ მუხლუხებში ტანკებს.

რწმენა და სიმართლე —აი, ის ორი საფრენი ფრთა, შეუძლებელს რომ შეაძლებინებს ომში კაცს და სიკვდილსაც აიოლებს.

ჯარისკაცი, რომელიც მომხდური მტრის დასახვედრად აღსდგა, მართალია, სიხარულით არ ეგებება სიკვდილს, შეურცხვენლად კი კვდება. კვდება და გრძნობს, რისთვის კვდება, ვის ეწირება და რატომ!

არის ამნაირ სიკვდილში სილამაზე და შეუძლებელია ამ წუთების დავიწყება. ეტყობა, ამგვარი სიკვდილის წინ, ერთბაშად ნათდება გონებაში ყველაფერი და სიცოცხლე ემგვანება სინათლეს, რომელიც უნდა აენთოს და ჩაქრეს.

არა, კი არ ჩაქრეს, ბოლო წამონთებით გადაანათოს მშობლიური სივრცეები.

●

მიდიოდა ეშელონი.

აღარ ილეოდა გზა გრძელი, მდინარის წყალივით ჩამოუთავებელი, ხან ტყე-ტყე რომ გაუყვებოდა, ხანაც ზეგნებსა და მინდვრებზე დაეშვებოდა.

ტრამალებზე ქათქათა მიტკალივით ეგო თოვლი. ხის კენწეროებსა და ტყის კიდეებზე ბოლქვა-ბოლქვად ტოვებდა ორთქლმავალი კვამლს.

გაფაციცებით ვადევნებდით თვალს ჩვენკენ მკლავებივით გამოწვდილ ლიანდაგებს. მოსკოვში რომ მივდიოდით, ვიცოდით, მაგრამ სად, რომელ უბანზე მიგვიყვანდნენ, ეს ჩვენთვის არავის უთქვამს.

მოსკოვი, მოსკოვი... როგორია, ნეტავი, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი! ჩვენ ხომ ჯერ კიდევ ცხოვრებაში გამოუსვლელი ჭაბუკები ვართ, სულ რაღაც ოცი-ოცდაერთი წლისანი. თბილისს გარდა, სხვა დიდი ქალაქი ჯერ არც კი გვინახავს და აგერ, უცებ მოსკოვი — მშობლიური, დიადი.

შეუჩერებლად ჩავუქროლეთ რომელიღაც სადგურს. სადგურს ვამბობ, თორემ, ცარიელა კედლებიღა შერჩენია დანგრეულ შენობას.

ორი-სამი კილომეტრიც არ გვექნებოდა გამოვლილი იმ სადგურიდან, რომ სადღაც, მოშორებით, საზენიტო ბატარეა აგრუხუნდა.

ყურს წვდება მოტორების ზუზუნი— უცხო, დაგუდული, ზიგზაგებივით დაწყვეტილი ხმა. ეს „იუნკერსები“ ცდილობდნენ ცაში „ფანჯრის“ გამოჭრას.

ვოლოკოლამსკის შოსემდე შემოღწეული მტერი ახლა უკან იხევს. ფაშისტი ტურა ჰაერში მაინც დაძვრება და მოსკოვის გარეუბნებს უტრიალებს გარშემო.

ხედავ, სადამდე წასულა წყეული ფაშისტი? მოსკოვის დაბომბვასაც ცდილობს. მისი თვითმფრინავები თავხედურად იწევენ დედაქალაქისაკენ.

ვაგონში ცივა. ჩუმად ვდგავართ გამოღებულ კარებთან. გზას გავყურებთ, მოდიან და მოდიან ქალებით, მოხუცებით, ბავშვებით დატვირთული საზიდრები. სიმწრით, წვალებით მოაქვთ ის, რისი წამოღებაც მოუსწრიათ.

ბეღურებივით შეყუჟულან სიცივისაგან აძიგძიგებული გოგონები და ბიჭუნები ფორნებზე. პირდაპირ გული ჩაგეთუთქება ამის შემხედვარე კაცს.

●

იაროსლავლის ვაგზალზე გადმოგვსხეს. პირველი, რაც თვალში გვხვდება, ბარიკადებად გადახიდული ქუჩებია. გრძელი, ჯვარედინა რკინის ძელები და ღობურები, ქვიშით სავსე ტომრები. მიაქვთ და მიაქვთ ქუჩებში საჰაერო აეროსტატები, უმთავრესად კოხტა, ჯარისკაცულ ფორმაში ჩაცმულ ქალიშვილებს.

ცივი, ქარბუქიანი დღეა. ყინვა ძვალ-რბილში ატანს. თანაც ბარაქიანად თოვს. „მოსკვა-რეკას“ სანაპირო თოვლითაა გადაფარული.

დროდადრო ქარი წამოუბერავს და გარშემო თოვლის კორიანტელს დაატრიალებს.

აი, წითელი მოედანი —დიადი და დიდებული. კრემლის ჭაღარა კედლები. მოპირდაპირე მხარეზე ლენინის მუზეუმი, აქეთ ტაძარი მინინისა და პოჟარსკის ძეგლებით.

ჩავუარეთ ლენინის მავზოლეუმს. ფეხქვეშ ყინული ტყდება. ჯარისკაცული ნაბიჯების ხმა მკვეთრად გაისმის ქვის ფილაქნით მოგებულ მოედანზე.

ამაყად მივდივართ, თავაწეულები. ასე გვგონია, აქ, მოსკოვში, წითელ მოედანზე გამართულ ამასწინანდელ საშვიდნოემბრო პარადში ვღებულობდეთ მონაწილეობას.

აგერ, მავზოლეუმის ტრიბუნაზე, უმაღლესი მთავარსარდალი ავიდა. ჯერ ჩვეულებრივად გაიარ-გამოიარა ტრიბუნის წინა მხარეზე. ერთ ხაზზე დამდგარ ჯარს გადახედა. შემდეგ მიკროფონთან მივიდა. დინჯი, აუჩქარებელი ხმით დაიწყო მართალი, შორსგამჭვრეტელი სიტყვა ომის შესახებ.

თქვა, რომ მტერი გააფთრებული მოიწევს სამშობლოს გულისაკენ. მაგრამ დაუშრეტელია საბჭოთა ხალხისა და არმიის ძალა. სწორედ აქ, მოსკოვის მისადგომებთან, მოიტეხს კისერს ფაშისტი გარეწარი.

ვხედავთ, ცხადად ვუყურებთ: მუზეუმის წითელ კედლებთან ჯარი გამოვიდა. თვალწინ ჩაიარეს მუშტად შეკრულმა მეომრულმა კოლონებმა. ქარივით გაიქროლა კავალერიამ. ძველმა გვარდიელებმა გაიელვეს მოკლე, თეთრი ქურქებით, მეზღვაურებმა შავი ბუშლატებით. გადაიგრუხუნა ტანკებმა, არტილერიამ.

ჩვენც მათთან ვართ, ჩვენც უკან მივყვებით მათ. ჩვენც ვუერთდებით აქედან, პარადიდან ფრონტზე მიმავალ კოლონებს.

...ილეოდა ომის პირველი ზამთარი. გრგვინვით შემოდიოდა ათასცხრაას ორმოცდაორი წელი საბჭოეთის დედაქალაქში.

ცეცლიანგრადში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ გორგანელი

ვზივარ საწერ მაგიდასთან და ვიხსენებ ომის მძიმე დღეებს, როცა მთელი ჩვენი ქვეყანა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში იყო ჩაბმული. რა უბედურება, რა გაჭირვება არ გამოვიარეთ, ყველაფერს გავუძელით, რადგან გვწამდა, რომ ჩვენი ბრძოლა სამართლიანი იყო, რომ ჩვენს ქუჩაზეც დღესასწაული იქნებოდა. ეს დღეც დადგა!

მოგონება მოგონებას მისდევს, იმ სახელოვანი ბრძოლებიდან რომელი ერთი გავიხსენო. განა შეიძლება გამორჩევა? აი, ერთი მათგანი.

1942 წელია, ცეცხლშია გახვეული სტალინგრადი. ყოველი წამი ბეწვის ხიდზე გავლას ჰგავს. შტაბში გამოგვიძახეს, დავალება მოგვცეს, ამაღამ მტერს 12 საათისათვის უნდა მოუვიდეს ახალი ძალები. საჭიროა დავაზუსტოთ, სად მოუყრიან ამ ძალებს თავს. გათენებამდის უნდა შესრულდეს დავალება.

ღამის 10 საათზე ნაპირ-ნაპირ დავყევით ვოლგის დინებას. გადავლახეთ ფრონტის ხაზი. გავნაწილდით. მე და ჯარისკაცი ფილონოვი სოფელ ბიკეტოვკისკენ გზასთან ჩავიმალეთ. გახდა 12 საათი, 1... 2... 3... მტრის ახალი ძალების გამოჩენას საშველი არ დაადგა. ჩვენგან ცოტა მოშორებით გერმანელები არიან. აი, ორმა აიღო თავი და პირდაპირ დაბარებულებივით ჩვენკენ წამოვიდა.

— ხომ არავინ გაგვცა? — ვეკითხები მეგობარს.

— ჩუმად! — მაფრთხილებს ფილონოვი. ფრიცებს სიცივისაგან თავები ისე აქვთ შეხვეული, ქვემეხი რომ დაუცალო, ალბათ, ვერ გაიგებენ. ერთი ისევ უკან გატრიალდა. მეორე ჩვენამდის მოვიდა. იქვე დაყრილი შეშის აღება დაიწყო. ჩვენც ზემოდან შეშის ნაჭრები გვაფარია. ალბათ, ამასაც აიღებს, რა ვქნათ, რა მოვახერხოთ, თუ გავჩერდეთ და ბედს დაველოდოთ? არა, მოცდა აღარ შეიძლება! ოღონდ, მთავარია, ყველაფერი უხმოდ მოხდეს: დაყვირებაც ვერ მოასწრო, ისე მოვაქციეთ მარწუხებში. მეორე ფრიციც გამოჩნდა, მიიხედ-მოიხედა, ახლა თუ თავს არ ვუშველეთ, შეიძლება, მახეში გავებათ, მით უმეტეს ნაბრძანები გვაქვს, ამაღამვე დავბრუნდეთ.

როგორც იყო, ტყვეს გავაგებინეთ: თუ გინდა იცოცხლო, ჩვენთან წამოდი, თუ არა და მოგკლავთ-თქო. უხმოდ გამოგვყვა. არ გასულა სამოოდე წუთი, ატყდა მტრის მხრიდან საშინელი სროლა, მაგრამ რაღას დაგვაკლებდნენ, ჩვენ უკვე სამშვიდობოს ვიყავით.

შტაბში გამოვცხადდით. მოვახსენეთ მდგომარეობა. „მოენეც“ წარვუდგინეთ. თურმე გერმანელებს განგებ გაუვრცელებიათ ხმა, ახალი ძალები ამაღამ უნდა მივიღოთო, სინამდვილეში მეორე დღისთვის ელოდნენ შევსებას.

ეს ამბავი სხვა მზვერავებმაც დაადასტურეს. ამის შეტყობაც არ იყო ურიგო საქმე.

ის ჩვენი მოყვანილი „მოენე“ ძალიან გამოგვადგა, მერე ის ოხერი, ყოველი წინადადების ბოლოს სულ „კაპუტ ჰიტლერს“ იძახდა.

— ხომ გითხარით, ჰიტლერს წყალი აქვს შემდგარი-მეთქი: გესმის, რახ ლაპარაკობს? მაგათაც აღარ სჯერათ ჰიტლერისა. ჩვენ შევცდით, მეორის წამოყვანასაც შევძლებდით, ტყუილად გავუშვით, — ფილონოვი ცოტა ხანს შეჩერდა, გაიღიმა და განაგრძო:

— არასოდეს წერილი არ გამიგზავნია შინ. ხვალიდან დავწერ, ახლა კი ღირს წერილების წერა.

ჯუხის მიწაზე

ელიზბარ მაისურაძე

1943 წლის 3 დეკემბერს ჩვენი არმიის ნაწილები დილისათვის შეტევაზე გადასასვლელად ემზადებოდნენ. ახლად შევსებულმა დივიზიებმა, რომლებიც ფრონტის ზურგს უკან იდგნენ, შეღამებისთანავე წინ წაიწიეს, მერე აზოვის ზღვიდან შავ ზღვამდე მთელს სიგრძეზე გაიშალნენ და საბრძოლო პოზიციები დაიკავეს.

იმ საღამოს ჩვენმა დივიზიამაც დატოვა თავისი ადგილსამყოფელი.

ბნელი ღამე იყო. ცა შავი ღრუბლებით დაჯანყულიყო. უკუნი დასწოლოდა მიწას.

მალე წინა ხაზს მივადექით. ის-ის იყო საბრძოლო პოზიციები დავიკავეთ, კოკისპირული წვიმაც წამოვიდა.

სანგრები წყლით გაივსო და ძალაუნებურად მაღლა ამოვედით.

ვიდექით და სიცივისაგან ვკანკალებდით.

ჯერ გათენებული არ იყო, წვიმამ რომ გადაიღო. ზენა ქარმა დაჰქროლა და კლდიანი ნიადაგი ხელდახელ გააშრო.

ის იყო, მტრედისფერი შეეპარა ცას, რომ მთაგორებიდან გახსნილმა ჩვენი არტილერიის ცეცხლმა მთელი ქერჩის ნახევარკუნძული შეაზანზარა.

დაიწყო საარტილერიო კანონადა. ხმა ამოიღეს ქვემეხებმა და ნაღმტყორცნებმა. „კატიუშას“ ჭურვები ცისარტყელებივით ხაზავდნენ ცას.

ორი საათის განმავლობაში ჰქუხდა ჩვენი არტილერია, ორი საათის განმავლობაში არ შემწყდარა ეს ძლიერი ჭექა-ქუხილი. ბუნება ჯოჯოხეთის ალში გაეხვია და ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს ქერჩის ნახევარკუნძულს ცეცხლი წაუკიდესო.

შავად გადაიხსნა გერმანელების განლაგება, შავ კვამლში ჩაიფერფლა მიწაც და ცაც, ჩაინგრა მტრის გამაგრებული ზღუდეები. მიწასთან გასწორდა მათი სანგრები.

თითქოს წამით ყველაფერი დადუმდა, გაირინდა, მაგრამ ეს დუმილი ახლა ჩვენი მებრძოლების ვაჟკაცურმა „ვაშამ“ დაარღვია.

მტერმა, მოსპობილი და განადგურებული რომ გვეგონა, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, ტყვიამფრქვევები ააკაკანა და სასტიკი წინააღმდეგობა შემოგვაგება. განუწყვეტლივ გვიხსნიდნენ ჯვარედინ ცეცხლს და მიუვალ საფარს ქმნიდნენ. მაგრამ ჩვენს ბიჭებს ვერაფერი აკავებდა. ყველა მხრიდან გაისმოდა მათი ვაჟკაცური „ვაშა“, ავტომატებისა და ტყვიამფრქვევების განუწყვეტელი კაკანი, რომელსაც მითრიდატის მთები იმეორებდა.

გადარბენის დროს უცბად ჩემს გვერდით მტრის ჭურვი დაეცა და ფოლადის ნამსხვრევმა მარცხენა თეძო გამიფატრა. სისხლი გადმომსკდა ჭრილობიდან. მინდოდა მეყვირა, მიშველეთ-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე. ვიცოდი, სან-ინსტრუქტორი ჩემს გარდა არავინ იყო. თვითონ უნდა მეშველა თავისათვის.

დასუსტებულსა და დაბნეულს, აღარ გამხსენებია ზედმეტი ბარგი მომეშორებინა თავიდან. ისევ ზურგზე შეკიდა საველე და სანიტარული ჩანთები, ნიჩაბი, ვაზნები.

ძალ-ღონე რომ მოვიკრიბე, მხოლოდ მაშინ გავითავისუფლე თავი ზედმეტი ბარგისაგან.

დაჭრილებმა, ვისაც კი ამის თავი ჰქონდა, დიდი გაჭირვებით მივაღწიეთ მედპუნქტამდე. ორი დღის შემდეგ კი კატერებმა ყირიმის ნახევარკუნძულიდან დიდ მიწაზე გადმოგვიყვანეს.

ანტიჰიტლერული კოალიციის ხელმძღვანელები (მარცხნიდან) უ. ჩერჩილი, ფ. რუზველტი და ი. სტალინი ყირიმის კონფერენციაზე 1945 წლის თებერვალში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენინგრადის დღე და ღამე

ოთარ ეგაძე,
საქართველოს სსრ ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწე.

სადგური მალაია ვიშერა. 13 აგვისტო. დაბომბილი მატარებლიდან გამოვიშალენით. ტყეტყე ფეხით გავუდექით. ჩაფიქრებულ ლენინგრადს მივადექით...

8 სექტემბრის შუაღამე. ლენინგრადის ცაში პირველად გაისმა გერმანული თვითმფრინავების გუგუნი. სახლის სახურავზე ავედი. ხელის გულზე მოჩანს ბადაევის სასურსათო საწყობების ხანძარი: „ხვალ ლენინგრადს აღარ ექნება შაქარი და პური“.

თვითმფრინავები თაგვისტოლა ცეცხლის გამჩენ ყუმბარებს ჰყრიან, ზოგი სახურავზეც ეცემა, თუნუქზე თავისთავად ენთება, ხვრიტავს, სწვავს, ცეცხლის ალს აჩენს. მარჯვე ადამიანს მაინც შეუძლია ხუთი-ათიოდე ყუმბარის ქუჩაეზოში კადაურის მოსწრება, სახლის გადარჩენა, მაგრამ როდემდის გაგრძელდება ასე?!.

1941 წლის 16 სექტემბერი. ხმა რადიორეპროდუქტორიდან:

„ერთი საათის წინ მე დავამთავრე დიდი სიმფონიური კონცერტის ორი ნაწილის პარტიტურა. თუ შევძლებ ამ თხზულების კარგად დაწერას, მესამე და მეოთხე ნაწილის დამთავრებას, მაშინ შესაძლებელი იქნება, ვუწოდო ამ ნაწარმოებს მეშვიდე სიმფონია, „ლენინგრადული“.

რატომ გაუწყებთ ამის შესახებ?

ამას იმიტომ გაუწყებთ, რომ რადიომსმენელებმა, რომლებიც მე ახლა მისმენენ, იცოდნენ, რომ ჩვენი ქალაქის ცხოვრება ნორმალურად მიდის. ახლა ჩვენ ყველანი საბრძოლო ვახტზე ვართ. საბჭოელო მუსიკოსებო, ჩემო ძვირფასო და მრავალრიცხოვანო თანამოსაბრძენო, ჩემო მეგობრებო! გახსოვდეთ, რომ ჩვენს ხელოვნებას დიდი საშიშროება ემუქრება. მაშ, ყველამ დავიცვათ ჩვენი მუსიკა, ყველამ აატიოსნად და თავდადებით ვიმუშაოთ...“

ეს იყო სახელგანთქმული, მაგრამ ჯერ ისევ ახალგაზრდა კომპოზიტორის დიმიტრი შოსტაკოვიჩის ხმა. მუზის მფარველი რუსი პატრიოტის სიტყვები ლენინგრადის დაცვის სახალხო მოწოდებად იქცა.

ფონტანკას ავყევი, ნევის პროსპექტზე „წიგნის სახლის“ კედელზე მსხვილი შრიფტით ნაბეჭდი, დიდი ზომის, ორმეტრიანი სიმაღლის ლექსი-პლაკატი ქუხდა:

«Ленинградцы, дети мои!
Ленинградцы, гордость моя!
Не затем я на свете жил,
Чтоб разбойничий гулять смрад;
Не затем вам, братья, служил,
Чтоб забрался ползучий гад
В город сказочный, город-сад».

ეს იყო უკვე ღრმად მოხუცი ჯამბულის ხმა. მუზის მფარველი ყაზახი პატრიოტის სიტყვები ლენინგრადის დაცვის სახალხო მოწოდებად იქცა.

წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მუსიკოსისა და პოეტის თითქოს ერთობლივმა მოწოდებამ.

ლენინგრადის ბლოკადა დაიწყო...

ვისაც რა შეგვეძლო, ის დაგვევალა.

მე—კურორტ ვირიცის მიდამოებში ხის აგარაკებისა და სანატორიუმების დაწვა. „გერმანელებმა ზამთრად ბანაკი არ დაიდონ!“.

ღამით გავდივარ, დილით ვბრუნდები. გავიყინე. თოვლიან ლიანდაგზე გადავედი. მეისრის ქოხთან ბოლის სუნმა დამკრა, მეამა, კარი შევაღე, გათბობა ვთხოვე.

— ვინა ხარ? სადაური ჩიტი?!

კილომ დამაეჭვა.

კედელზე გაკრული კინოვარსკვლავების სურათები შევნიშნე. ნატო ვაჩნაძე და სპარტაკ ბაღაშვილი მიღიმოდნენ, სწორედ ვირიცის სანატორიუმში ვნახე „არსენა“.

— ამათელი ვარ! — მივაშვირე რევოლვერის ლულა.

— იცნობ!

— ვმეგობრობ!

— შემოდი, გათბი.

შევედი, ჩამეძინა.

— გაიღვიძე! შეხედე. ყოველ მეორე დღეს თითო ასეთი ხანძარი ჩნდება ვირიცაში. აი, ახლაც იწვის...

გავიხედე სარკმლიდან. „არსენას“ კინოდარბაზი იბუგებოდა:

„გერმანელები ცხვირს ვეღარ შეჰყოფენ, „ევა ბრაუნს“ ვერ ნახავენ“.

ისევ ალყაშემორტყმულ ლენინგრადს მივაშურე.

აკაკი გეწაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯერსკის ცეცხლის ჯალრ

სტალინგრადის ბრძოლაში ერთობ შეთხელდა და დაიქანცა ჩვენი პოლკი, „კატუშების“ გვარდიული პოლკი. იქ გამარჯვების შემდეგ ძალ-ღონის მოსაკრებად და პოლკის შემადგენლობის შესავსებად მოსკოვში წაგვიყვანეს. აქ თვენახევარი დავყავით და 1943 წლის 24 მაისს კვლავ ფრონტს მივაშურეთ.

მეორე ღამე იასნაია პოლიანაში გავათიეთ. ძალიანაც მინდოდა ლევ ტოლსტოის ადგილ-მამული მენახა, რომელიც ჯერ კიდევ იავარქმნილი იყო, მაგრამ მეთაურმა არ გამიშვა.

ხუთ ივლისს დაიწყო დიდი ბრძოლა და ჩვენც იმ დღესვე ჩავებით ჯოჯოხეთური ცეცხლის ორომტრიალში სოფელ კრასნი დუბრავასთან. მანევრირების გამო ხშირად გვიხდებოდა საბრძოლო პოზიციის შეცვლა. აი, დღიურში ჩაწერილი მაშინდელი ფრონტული გზა: ს. ჩაიანი, მაიაკი, კაჩატოვკა, პროხოროვკა, ალექსანდროვკა, კომსომოლსკი, ბერეგავოე, გრიგორიევკა, ვენგეროვკა, კრასნი, იაკოვლევო, შლიხოვოი, სირცოვო...

კურსკის შვერილის ბრძოლა დიდი სამამულო ომის ეპოპეის მესამე დიდი ბრძოლა იყო მოსკოვისა და სტალინგრადის შემდეგ. აქ ჰიტლერელებმა სტალინგრადში მწარე დამარცხებისათვის რევანშის აღება განიზრახეს და გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები. ტანკებისა და ქვემეხების გრუხუნით იყო დაყრუებული ცა და მიწა. თოფის წამლისა და დამწვარი ზეთის სუნი ტრიალებდა ირგვლივ. ბუღში გახვეული მზე ხშირად წითელი იყო სისხლივით. პურის ყანა დაბომბვის შემდეგ ჩოფურა კაცის პირისახეს ემსგავსებოდა. ჭურვებისა და ყუმბარების ნამსხვრევებით ითესებოდა მოუმკელი პურის ყანები...

მე მანქანის ძარაზე დამაგრებული ორლულიანი ტყვიამფრქვევის („ბრაუნინგის“) მსროლელი ვარ (პირველი ნომერი) და „კატუშებს“ დავყვები მცველად. ერთობ ხშირად გვიხდება ცეცხლის ხაზზე გასვლა. ცაში უამრავი სვასტიკიანი თვითმფრინავი ირევა... და მეც ხშირად ვიგერიებ მათ. ჯერჯერობით ვერცერთი „კატუშა“ ვერ დაგვიზიანეს, სვასტიკიანი თვითმფრინავები ყუმბარებს ჩვენგან შორს ყრიან.

იმ ბრძოლებში ბევრჯერ გავიარე ბეწვის ხიდზე, საშინელი სურათიც ბევრი ვნახე. აქ ორიოდეს გავიხსენებ.

დიდი მინდორი კურსკის შვერილზე. პროხოროვკის მიდამო. წითელვარსკვლავა და სვასტიკიანი ტანკები ერთმანეთის განლაგებაში შეიჭრნენ და აირ-დაირივნენ, ტანკების „ხელჩართული“ ბრძოლა გაჩაღდა, ბრძოლის ველზე ჯოჯოხეთური ცეცხლის კალო დატრიალდა. გამარჯვება საბოლოოდ წითელვარსკვლავა ტანკებს დარჩათ.

ჩვენს პოლკს იმ ადგილას გავლა მოუხდა სწორედ მაშინ, როცა ტანკთა უმრავლესობა ისევ ბოლავდა. დამწვარ-დალეწილი ტანკებით სავსე მთელ მინდორზე ბალახი შავად ჩაყამებულიყო. ომის ჯოჯოხეთის ცქერას შეჩვეული ჯარისკაცებიც კი შეაძრწუნა ამ საშინელი სურათის ხილვამ. მე იმ დღის მოგონება ახლაც მზარავს.

აღარ მახსოვს, რომელი რიცხვი იყო (ომში ხშირად თავიც გავიწყდება ადამიანს), სოფელ მალი მაიაჩკის მახლობლად გვაცნობეს, რომ ჩვენი დივიზიონის მზვერავთა ჯგუფი მტრის ტანკებისა და მეავტომატეების ალყაში მოექცა. ჯგუფმა რადიოთი „კატუშების“ ცეცხლი თავის თავზე გამოიწვია: თუ გადავრჩებით, მხოლოდ იმ რისკით, არადა, დაღუპვა ისედაც გარდაუვალიაო.

ჩვენი „კატუშები“ ზალპისათვის ცეცხლის ხაზზე დადგნენ, მე საზენიტო ტყვიამფრქვევით ვიცავ. წამიც კი ძვირფასია ამ შემთხვევაში. მოულოდნელად ოთხი „მესერშმიტი“ დაგვესხა თავს, „კატუშებს“ ტყვიამფრქვევის ცეცხლი დაუშინეს. ზალპის დაქუხება შეუძლებელი გახდა. ავაკაკანე ტყვიამფრქვევი. ასე ვთქვათ, „მესერშმიტები“ და მე პირისპირ შევებით ერთმანეთს. ბრძოლა რამდენიმე წუთს გაგრძელდა. ერთ-ერთი „მესერის“ ფრთაზე ფერადმა ტყვიამ გაიელვა (ყოველი მეათე ტყვია ფერადი ჰქონდა ჩემს „ბრაუნინგს“). თვითმფრინავი ბრძოლიდან გავიდა. ახლა მეორე ყორანი წამოვიდა ჩემკენ. ფერადი ტყვიები მისკენ გავაფრინე. ისიც გავიდა ბრძოლიდან, უკან კვამლიც კი გამოუშვა. ეტყობა, ტყვიამ დააზიანა, ძალღონე კი მთლიანად ვერ წაართვა. ვინაიდან ორი მოვიგერიე, დანარჩენი ორი „მესერშმიტი“ შეშინდა და გაქცეულებს გაედევნა.

დაიგრგვინეს „კატუშებმა“. ცეცხლისკუდიანი ჭურვები მტრის პოზიციებისკენ გაფრინდნენ ღრიალით. ალქაჯებად თუ ანგელოზებად? ჩვენ ხომ იმათ ვესროლეთ, ჩვენი მზვერავები ალყაში რომ მოიქციეს!

საღამო. მზვერავთა უფროსი, ლეიტენანტი სოროკინი საგულდაგულოდ მოვიდა ჩემთან: გავიგე, ცეცხლის ხაზზე გიმარჯვნია, ოთხი „მესერშმიტი“ მოგიგერიებია. გმადლობთ! ზალპს ცოტაც რომ დაგვიანებოდა, ტანკები გადაგვთელავდნენ! შენ გვაჩუქე სიცოცხლე!

— მოარტყეს მიზანს? — დავინტერესდი მე.

— ზუსტად. ჩვენს ირგვლივ რამდენიმე „ვეფხვი“ დაიწვა. მეავტომატეთა ორი ასეულიდანაც, მგონი, ერთიც არ გადარჩენილა ცოცხალი. ჩვენი ძელმიწურიც დაინგრა, მაგრამ ცოცხლები ამოვძვერით, — მომიგო სოროკინმა.

30 ივლისს მზვერავების ნაცვლად სათვალთვალო უბანზე გაგვაგზავნეს მე და ჩემი მეორე ნომერი ქიშვარდ კობახიძე. ასე ისურვა ჩვენმა ოცმეთაურმა ლეიტენანტმა გარნაკოვმა. იქიდან ორ აგვისტოს დავბრუნდით გვიან ღამით. დივიზიონი სოფელ იაკოვლევოს მოშორებით, ტანკებითა და მანქანებით გადათელილ-გადაჯეგილ პურის მწიფე ყანაში დაგვხვდა. იმ ღამითვე შტაბში მიხმეს და მთვარის შუქზე გადმომცეს მედალი „მამაცობისათვის“.

მეორე დღეს დავიწყეთ დიდი იერიში. თავს დაგვესხნენ თვითმფრინავები და მე ჯერ „მესერშმიტ-109“ ჩამოვაგდე, ცოტა ხნის შემდეგ კი „ჰენკელ-111“. ოღონდ, „ჰენკელს“ მე და ქიშვარდ კობახიძე მონაცვლეობით ვესროდით, ესროდნენ სხვებიც...

ასე მივდიოდი ბეწვის ხიდიდან ისევ ბეწვის ხიდზე.

გალაკტიონი,

საქართველოს სახალხო პოეტი,
აკადემიკოსი.

გმირს გამარჯვება!

წინ გახოკძე! დაჭკარი,
ხად გადავარდნა იწყება,
დაატრიალე თაკარი,
თავდასხმა, თავდავიწყება!

ფფეთქე და იელვარე
ქვეყნიერ ღელვის მტარებლად,
მაშულისათვის მღელვარე
დასცხე მტერს
შეუწყნარებლად!

იელვე, ო, გულო ცხელო,
ვზა ვაყენ სიმედგრის ყინისა,
სიმაგრე ხარ სასახელო
ძველთა-უძველეს რკინისა!

მტეხეთ, მუხრანი, ასპინძა, —
შენის ცითაა ნახური,
შენს ხმალთან გადვაყინა
მან ხმალი მამაპაპური.

გამმეადობას ძმებისას
ჩვენი ხმაც მიეწყდომების:
ვზა ციხკარს გამარჯვებისას!
ძირს ბოროტება ომების!

მას გაუმარჯოს, ვის მძაფრი
ომი მიაჩნდეს ხალისად!
გაუმარჯოს გმირს — უშიშარ
მებრძოლს ბრწყინვალე
ხვალისა!

გაუმარჯოს გმირს —
სიკვდილთან
მხნედ გამსწორებელს თვალისა,
გმირს დღევანდელ დღის და
დიად,
ნათელი მომავალისა!

ოთარ ჩერელაშვილი



ჭიჭიკო ბენდელიანი

იაროსლავ იოსელიანი

მიხეილ გახოკიძე

საბჭოთა

შალვა ჩილაჩავა

დავით ბაკრაძე

ფაშისტური გერმანიის მუხანათური თავდასხმის პირველსავე დღეს, ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის შეიღებთან ერთად, ათასობით ქართველი მეომარი ჩაება მტერთან ბრძოლაში.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა შეიარაღებულ ძალებში ჩვენი რესპუბლიკიდან წარგზავნილი 780.000 მეომარი იბრძოდა. ისინი მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირგერმანიის ფრონტის ყველა თავდაცვითს და შეტევით ოპერაციებში, ათავისუფლებდნენ ჩვენი სამშობლოსა და ევროპის ოკუპირებულ ტერიტორიას, იყვნენ პარტიზანული და ევროპის ქვეყნების ანტიფაშისტური წინააღმდეგობის მოძრაობის წევრები, ლაშქრავდნენ ბერლინს, მონაწილეობდნენ იაპონელ მილიტარისტთა წინააღმდეგ ბრძოლებში.

ლეგენდად იქცა შავი ზღვის ფლოტის ავიაციის ესკადრილიის მეთაურის მაიორ ალექსანდრე წურწუმიას სახელი. 1941 წლის 2 ივლისს, მან საბჭოთა მფრინავთაგან ერთ-ერთმა პირველმა დაბომბა და მწყობრიდან გამოიყვანა რუმინეთის ნავთობის სარეწები. მისმა ესკადრილიამ კონსტანცასა და პლოეშტში ცეცხლის ალში გაახვია 220.000 ტონაზე მეტი ნავთობის საწვავი. ჩვენი თანამემამულის საგმირო საქმეები საჭვრ იყო მოხსენიებული საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებში.

მაიორი ალექსანდრე წურწუმია დაიღუპა 1941 წლის 30 დეკემბერს გამართულ საჰაერო ბრძოლაში.

მისი დაჯილდოების ფურცელში ვკითხულობთ: „მე-40 საავიაციო პოლკში დიდების და სიამაყის სიმბოლოდ ისმის ალექსანდრე წურწუმიას სახელი". სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 22 თებერვლის ბრძანებულებით ალექსანდრე წურწუმიას სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. საოლიმპიადო ბრძანებით ალექსანდრე წურწუმიას სახელი მიეკუთვნა ესკადრილიას, რომელსაც ის მეთაურობდა...

სამამულო სამხედრო ხელოვნების ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა 1942 წლის 10 მარტს, ხარკოვის თავზე გამართული უთანასწორო საჰაერო ბრძოლის გმირული ეპიზოდი. ოთხი საბჭოთა თვითმფრინავი, რომელთაც მაიორი ჭიჭიკო ბენდელიანი მეთაურობდა, ფაშისტების 24 საბრძოლო თვითმფრინავს შეერკინა. ამ გაუგონარ ბრძოლაში, რომელიც 30 წუთს გრძელდებოდა საბჭოთა მფრინავებმა ფაშისტების სამი თვითმფრინავი ჩამოაგდეს. დანარჩენებმა გაქცევით უშველეს თავს. ამ საპაერო ბრძოლის ოთხივე მონაწილე ლენინის ორდენით დაჯილდოდა.

ჭიჭიკო ბენდელიანმა 385 საპაერო გაფრენა განახორციელა. პირად ბრძოლებში ჩამოაგდო მტრის 7 თვითმფრინავი, ჯგუფურ ბრძოლებში კი—12 თვითმფრინავი.

1943 წლის 24 აგვისტოს გვარდიის მაიორ ჭიჭიკო ბენდელიანს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიეხმა. მის მკერდს აშვენებდა ორი ლენინის ორდენი, წითელი დროშის, სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენები. გმირი საპაერო ბრძოლაში დაიღუპა 1944 წლის 20 ივლისს. სიკვდილის შემდეგ ჭიჭიკო ბენდელიანი სამამულო ომის პირველი ხარისხის მეორე ორდენით დაჯილდოდა.

ოდესის და სევასტოპოლის დაცვაში თავი ისახელა მამაცმა სნაიპერმა ნოე ადამიამ. მან თავისი სნაიპერული შაშხანით 200-ზე მეტი ჰიტლერელი გამოასალმა სიცოცხლეს.

რუსული საზღვაო დიდების ქალაქ სევასტოპოლის დაცვისას სამაგალითო გმირობა გამოიჩინა მე-7 საზღვაო ქვეითი ბრიგადის ბატალიონის მეთაურმა არკადი ჯეგეშიძემ.

გიორგი გოცირიძე

თენგიზ ჯაფარიძე

კარლო მებალიშვილი

იასონ კოკოსკერია

დავით ჯაბიძე



სარდიონ კოზანოვი

ჯავშირის გმირები

ნოე ადამია

შეხვედრა ზაბაროვის ვერზე პოლტავის ოლქის სოფელ პირველ მიხაილოვკაში. შუაში ზაჭარია ხიტალიშვილი.

მადლიერმა სამშობლომ ორიე ქართველ ვაჟაცს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა.

უკვდავია ჩვენი თანამემამულის — აფხაზი ხალხის სახელოვანი შვილის, ვლადიმერ ხარანიას სახელი.

უფროსმა ლეიტენანტმა ვლადიმერ ხარანიამ უთანასწორო, პირისპირ ბრძოლაში ქვემეხით ფაშისტთა რვა ტანკი მოსპო. ამ ბრძოლაში ხარანია გმირული სიკვდილით დაეცა. 1942 წლის 2 ივნისს ბრძანებულებით მას სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა...

„იბრძოლეთ ისე, როგორც იბრძის ჭაბალი ზაბარ ხიტალი" — ეწერა საფორტო პოლკსამხარეულის მიერ გამოშვებულ საგვიტაციო ფურცლებში, რომელზეც 19 წლის ლეშელი ვაჟაცის ზაჭარია ხიტალიშვილის პორტრეტიც იყო დაბეჭდილი.

ზაჭარია ხიტალიშვილი 17 წლისა იყო, როცა სამხედრო-საპაერო სასწავლებელი დაამთავრა. 18 წლისამ პირველი საბრ-

ძოლო ჯილდო — წითელი ვარსკვლავის ორდენი დაიმსახურა. 19 წლის ასაკში საავიაციო რგოლს მეთაურობდა, 20 წლისა კი ესკადრილიის მეთაურად დანიშნეს. 1944 წლის 13 აპრილს, 21 წლის ზაქარია ხიტალიშვილს, რომელმაც მტრის 29 თვითმფრინავი ჩამოაგდო, საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა...

თბილისელებს კარგად ახსოვთ წარმოსადეგი ვაჟკაცი, მრავალი საბრძოლო ორდენის კავალერი, საბჭოთა კავშირის გმირი ოთარ ჩეჩელაშვილი.

ხშირად ამბობენ: ქართველი შევარდენი ოთარ ჩეჩელაშვილი იერიშებისა და ბომბარდირების დიდოსტატი იყოო. აი, მრავლისმთქმელი სიტყვები, რომლებიც მისი დაჯილდოების ფურცელში ამოვიკითხეთ: „ჩეჩელაშვილმა განახორციელა 178 საბრძოლო გაფრენა. პირადად ჩამოაგდო ფაშისტთა 4 „მე-109,“ 2 „ფვ-190“, 1 „იუ-87“, მოსპო მოწინააღმდეგის 34 ტანკი, 278 ავტომანქანა, 1 ქვემეხი, 4 ბარჟი, 1 თვითმავალი ნავი, ააფეთქა 4 გადასასვლელი, გაანადგურა საბრძოლო იარაღისა და საწვავის 11 საწყობი, 49 რკინიგზის ვაგონი, 54 საზიდარი, დაჭრა და დახოცა მტრის 700-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი“.

ცნობილია ასეთი ფაქტიც: საბრძოლო დავალების შესრულების შემდეგ ოთარ ჩეჩელაშვილი აეროდრომზე ბრუნდებოდა. ამ დროს დედამიწიდან რადიოთი მიიღო შეტყობინება: ჩვენ აეროდრომს მტრის თვითმფრინავი დასტრიალებსო. ოთარ ჩეჩელაშვილს ტყვია აღარ ჰქონდა, მტერი კი შეიარაღებული იყო. ოთარმა ხან ვირაჟი გააკეთა, ხან პიკირებით წავიდა და თავი დააღწია ფაშისტთა თვითმფრინავის ტყვიამფრქვევის ჯერს. ჩეჩელაშვილი მტრის მანქანას უკან მოექცა და თავისი თვითმფრინავის ხრახნით კუდი მოაგლიჯა. ამ საჰაერო ბრძოლისათვის, ფრონტის სარდალმა ი. კონევმა ო. ჩეჩელაშვილი დაჯილდოვა მაჯის საათით, რომელსაც ასეთი წარწერა ჰქონდა „მფრინავ ჩეჩელაშვილს ჩინებული ბრძოლისათვის. მარშალი კონევი“...

1942 წლის დეკემბერში, ვერხნი-კუმსკის რაიონში გენერალ მანშტეინის საარმიო ჯგუფის „დონის“ მეწინავე ძალებს ოთხი დღე გმირულად უმკლავდებოდნენ ქართველი პოდპოლკოვნიკის მიხეილ დიასამიძის 1378-ე მსროლელი პოლკის და აზერბაიჯანელი პოდპოლკოვნიკის აზი ასლანოვის 55-ე სატანკო პოლკის მეომრები. ბრძოლის კრიტიკულ მომენტში მათ გადასცეს სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის დეპეშა:

— „პოდპოლკოვნიკ დიასამიძეს, პოდპოლკოვნიკ ასლანოვს.

ვამაყობ თქვენი შეუპოვარი ბრძოლით. არც ერთი ნაბიჯი უკან. ბრძოლაში სახელმოხვეჭილი ჯარისკაცები და ოფიცრები წარმოადგინეთ მთავრობის ჯილდოზე. სტალინი“.

დიდი სამამულო ომის მსვლელობის პერიოდში ეს იყო იშვიათი გამონაკლისი, როდესაც უმაღლესი მთავარსარდალი უშუალოდ მიმართავდა პოლკის მეთაურებს, რაც შექმნილი რთული სიტუაციით უნდა აიხსნას.

უმაღლესი მთავარსარდლის დეპეშამ მებრძოლებს ახალი ძალები შემატა, ისინი ნამდვილ დევგმირებად იქცნენ. ჩვენი მეწინავე შენაერთების მოსვლამდე შეაკავეს მტერი, რომელსაც სტალინგრადის რაიონში ალყაშემორტყმული გერმანელთა მე-6 არმიის დახმარება ჰქონდა დავალებული.

სარდლობის დავალების ბრწყინვალედ შესრულებისათვის, გმირობისა და ვაჟკაცობის გამოჩენისათვის მიხეილ დიასამიძეს და აზი ასლანოვს 1942 წლის 22 დეკემბერს საბჭოთა კავშირის გმირის წოდებები მიენიჭათ...

ომის წლებში, ზემო სვანეთის მშრომელებმა თავიანთი დანაზოგებით ააგებინეს წყალქვეშა გემი „საბჭოთა სვანეთი“, რომელიც სახელოვან თანამემამულეს იაროსლავ იოსელიანს გადასცეს. ამ ნავით მარტო 1943 წლის 11 თვის მანძილზე იაროსლავ იოსელიანმა ჩაძირა მოწინააღმდეგის 12 გემი (142000 ტონა საერთო წყალწყვისა) და დაზიანა 2 ტრანსპორტიორი.

საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, პირველი რანგის კაპიტანი იაროსლავ იოსელიანი ომის შემდგომ წლებში სარდლობდა წყალქვეშა ნავების ბრიგადას. იგი გარდაიცვალა 1978 წელს. უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით იაროსლავ იოსელიანის სახელი მიეკუთვნა შავი ზღვა-აზოვის სანაოსნოს ერთ-ერთ დიდ გემს...

ჰიტლერელი ზღვის მეკობრეების რისხვად იქცა ოსი ხალხის სახელოვანი შვილი, ფლოტის ოფიცერი ჯაველი კ. ყოჩიევი. კაპიტან-ლეიტენანტ კონსტანტინე ყოჩიევის დაჯილდოების ფურცელში ვკითხულობთ: „სატორპედო კატარღამ ყოჩიევის მეთაურობით ჩაძირა მტრის 1 წყალქვეშა ნავი, 3 ტრანსპორტიორი, 1 სატორპედო კატარღა, 10 თვითმავალი ბარჟი, მოსპო 1 თვითმფრინავი, გაანადგურა მტრის 6 საცეცხლე წერტი, მოწინააღმდეგის წყლებში ჩააგდო 78 ნაღმი, გადასხა 256-კაციანი დესანტი, იხსნა 28 საბჭოთა მეზღვაურის სიცოცხლე“. 1944 წლის 16 მაისს კონსტანტინე ყოჩიევს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

მდინარე დნეპრის გადალახვისას, ორ ათეულზე მეტმა საქართველოს წარგზავნილმა დაიმსახურა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება. მტრის გამუდმებული ცეცხლის ქვეშ უმოკლეს დროში ააგეს ხიდები სამშენებლო ბატალიონების მეთაურებმა, მაიორებმა გიორგი გოცირიძემ და ირაკლი ციციშვილმა, რისთვისაც მათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭათ. ომის შემდგომ წლებში, საბჭოთა კავშირის გმირი, სსრ კავშირის სახელმწიფო პრემიების ლაურეატი გიორგი გოცირიძე წლების მანძილზე იყო მოსკოვის ოლქის მთავარი არქიტექტორი (გარდაიცვალა 1978 წელს). ხოლო საბჭოთა კავშირის გმირი, საზოგადო მოღვაწე, თბილისის საპატიო მოქალაქე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ირაკლი ციციშვილი სათავეში უდგას საშვილიშვილო საქმეს — ჩვენი კულტურის ძეგლთა აღდგენასა და რესტავრაციას...

მდინარე დნეპრის მეორე ნაპირზე დამხმარე ძალების მოსვლამდე, სამ დღე-ღამეს ინარჩუნებდა დაკავებულ პლაცდარმს ქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ყოფილი სტუდენტი, 309-ე მსროლელი დივიზიის ერთ-ერთი ასეულის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი აკაკი ტერელაძე. მოწინააღმდეგემ 22-ჯერ მიიტანა იერიში ტერელაძის ასეულზე. „არ შევდრკეთ, ბიჭებო! სამშობლო არ დაგვივიწყებს!“ — ამ სიტყვებით დაეცა ბრძოლაში საბჭოთა კავშირის გმირი აკაკი ტერელაძე...

ლეგენდად იქცა საბჭოთა კავშირის გმირის, 24 წლის ქართველი ვაჟკაცის, გვარდიის უმცროსი სერჟანტის შოთა გამცემლიძის თავგანწირვა. ფიცხელი ბრძოლის დროს იგი ხელყუმბარების კონით შეუვარდა მოწინააღმდეგის ტანკს და ააფეთქა.

უკვდავებისაკენ მიმავალი გზა, მხოლოდ ასე უნდა ვუწოდოთ ქართველი ხალხის საამაყო შვილის, საბჭოთა კავშირის გმირის შოთა გამცემლიძის მოქმედებას...

ერთ-ერთი ბრძოლისას გვარდიის ლეიტენანტი, თბილისელი ვახტანგ ლეჟავა რამდენიმე მებრძოლით მტრის ალყაში მოექცა.

ბიჭები გააფთრებულ ბრძოლაში დაიღუპნენ. მძიმედ დაჭრილ მეთაურს გერმანელები მიუახლოვდნენ.

— ტყვედ დაგვნებდი! — შესძახა ერთ-ერთმა ფაშისტმა.

— კომუნისტები ტყვედ არ ნებდებიან! — ვახტანგმა ძალა მოიკრიბა, წამოდგა და ფეხებთან დაახეთქა ხელყუმბარა.

ყუმბარამ გმირიც ააფეთქა და მის გარშემო შემოკრებილი ფაშისტებიც. ვახტანგ ლეჟავას დაღუპვის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა...

ერთ საჟურნალო წერილში, ცხადია, შეუძლებელია ყველა გმირის შესახებ საუბარი.

ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანს შევეხეთ, ისიც სქემატურად. თითოეული გმირის ცხოვრება, ბრძოლა, თავდადება კი ვრცელ წიგნს მოითხოვს.

ჩვენი რესპუბლიკიდან საბჭოთა კავშირის გმირის წოდება სულ 165 კაცს მიენიჭა. აქედან ქართველია — 94, რუსი — 33, სომეხი — 12, უკრაინელი — 8, ოსი — 7, აფხაზი — 4, ბერძენი — 2, აზერბაიჯანელი — 1, თურქი — 1, ჩერქეზი— 1, ებრაელი — 1, თათარი — 1 კაცი.

საქართველოს მკვიდრი 165 საბჭოთა კავშირის გმირიდან ეს საპატიო წოდება ჩინეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელ ომში მონაწილეობისათვის მიენიჭა 1 კაცს (ვ. სალუსარევი), ხალხინ-გოლთან გამართულ ბრძოლებში — 1 კაცს (ვ. კოპცოვი) ფინეთ-საბჭოთა კავშირის სამხედრო კონფლიქტის საომარ მოქმედებაში მონაწილეობისათვის 6 კაცს (ა. კარაპეტიანი, ვ. ნანეიშვილი, ი. ხმალაძე, ა. სულაბერიძე, ა. ოსტაევი, ი. ხაპროვი), ყველა დანარჩენმა 157-მა ეს საპატიო წოდება დიდი სამამულო ომის პერიოდში დაიმსახურა.

საბჭოთა კავშირის გმირის წოდების მინიჭებისას სკკპ წევრი იყო — 119 მეომარი, სკკპ წევრობის კანდიდატი — 10, ალკკ წევრი — 16, უპარტიო — 20 კაცი.

ჩვენი რესპუბლიკის მკვიდრი 165 გმირიდან ქვეითი ჯარის წარმომადგენელია — 65 კაცი, მფრინავი — 33, არტილერისტი — 16, ტანკისტი — 11, საზღვაო ქვეითი ჯარის წარმომადგენელი — 8, პოლიტმუშაკი — 6, მესანგრეა — 5, მეზღვაური — 5, მშენებელი ინჟინერია — 3, პარტიზანი — 1, იატაკქვეშელი — 1, კავალერისტი — 1, ქიმიური სამსახურის წარმომადგენელია — 1, სამედიცინო სამსახურის — 1 კაცი.

165 საბჭოთა კავშირის გმირიდან დიდი სამამულო ომის ფრონტებზე გმირის სიკვდილით დაეცა 41 მებრძოლი.

ტრისტან ჩინჩილაკაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიადი ტაქტიკურ ომების 40 წელი

ბერლინი, გამარჯვებული ჯარისკაცის მონუმენტი.

ქართველი მხატვრები— დიად თარიღს

კოდევაც დაიზრდეს ან

დიმიტრი სახუტაშვილი



მრავალჟამიერი.

თენგიზ ცხონდია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წმინდა საფლავები პოლონეთში.

მამია ახობაძე

მოგონება.

რადიშ

თორდია

მე არ დამკარგავს სამშობლო...

გივი თოიძე

1943 წლის იანვარში შეტევაზე გადასულმა საბჭოთა ჯარებმა გამანადგურებელი დარტყმა მიაყენეს ფაშისტებს და ოქტომბრისათვის გაათავისუფლეს ჩრდილოეთ კავკასია. კავკასიისათვის ბრძოლა მჭიდრო ურთიერთკავშირში იყო სტალინგრადის ბრძოლასთან.

სერჟანტი ო. ჯაიანი მაიორ ც. კუნიკოვის ლეგენდარულ სადესანტო რაზმის რიგებში ნოვოროსიისკთან.

მეთვრამეტე არმიის სარდალი, საბჭოთა კავშირის გმირი კონსტანტინე ლესელიძე (მარცხნივ).

უღელტეხილზე — გამარჯვებისაკენ.

რომ გამოვლიდა, ლეო!

თეიმურაზ ჯანგულაშვილი

1945 წლის 3 თებერვალი. უკვე ოდერს გადაღმა ვართ, სილეზიის გულში, სილეზიისა, რომელიც ბერლინის სამრეწველო რაიონთან ერთად ფაშისტური გერმანიის ეკონომიური ბაზის საფუძველს წარმოადგენდა.

სტრიქონები „მეორე მსოფლიო ომის ისტორიის“ მეათე ტომიდან:

„ოდერზე გასვლით და მის მარცხენა ნაპირზე პლაცდარმების ხელში ჩაგდებით დამთავრდა ვისლა-ოდერის ოპერაცია— მეორე მსოფლიო ომის ერთ-ერთი უდიდესი ოპერაცია“.

23 თებერვალი. წუხელ მივადექით ფაშისტური გერმანიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სარკინიგზო კვანძის და დიდი სამრეწველო ცენტრის — ქალაქ ბრესლაუს გარეუბანს.

23 აპრილი. უკვე ორი თვეა, რაც ალყაში მოქცეული ბრესლაუს ცა ჩვენი ბომბდამშენების საასპარეზოდ ქცეულა. ან როგორ უძლებს ქვა-ქვაზე დადუღებული ეს ცეცხლოვანი კუნძული ბომბებისა და ცეცხლის ასეთ სიმძიმეს... ასე გრძელდება გათენებიდან შეღამებამდე. მტრის საზენიტო ცეცხლი ჩვენი თვითმფრინავებისათვის უკვე საშიში აღარ არის. ფაშისტთა ავიაციაც უსუსურია.

ბრესლაუს გარნიზონი დამშეულია საომარი მასალებითაც და სურსათითაც.

და როცა ღამის სიბნელე მკვიდრად მოიკიდებს ფეხს ცაშიც და მიწაზეც, სკასავით აზუზუნდება ხოლმე დასავლეთის ცა— გერმანელები სურსათისა და საომარი მასალების ჩამოსაყრელად მოფრინავენ. მძიმე ტვირთით დაბარგული სვასტიკიანი სვავები მაღალ სიმაღლეზე მოფრენენ, და არა მარტო დასავლეთის მხრიდან — სამხრეთიდანაც და ჩრდილოეთიდანაც ცდილობენ ჩვენი პროჟექტორების სვეტთა შუა გამოსხლტომას, მაგრამ იშვიათად თუ აღწევენ საწადელს. ცაში ისეთი ჭექა-ქუხილი ატყდება ხოლმე, მგონია, პროჟექტორთა შუქის სვეტები რომ არა ჰქონდეს შედგმული, ცა ჩამოწვება და ჩამოინგრევა-მეთქი.

ბრესლაუს ცეცხლოვან ცაში შეღწეული და პროჟექტორთა შუქის სვეტებზე ფრთებწამოკრული გერმანელთა თვითმფრინავები უთავბოლოდ ყრიან თავიანთ ტვირთს. ამ ტვირთის ნაწილი ვერც აღწევს მიზანს — პარაშუტები ჩვენს განლაგებაში ცვივიან.

მიწისა და ცის ბრძოლა ღამის თერთმეტ საათზე იწყება და დილის ხუთ საათამდე გრძელდება.

კარლ გუზაროვთან და გიორგი ჩაჩხუნაშვილთან ერთად ჩვენი საცეცხლე პოზიციის ახლოს, დახანძრული სახლის კედელზე ზურგმიბჯენილი ვზიავარ და აქუხებულ ცას შევყურებ.

პროჟექტორების დამაბრმავებელი სინათლის წრეში მოხვედრილი თვითმფრინავი ობობას ქსელში გაბმული ბზიკივით აქეთ-იქით აწყდება. მის ირგვლივ აფეთქებულ საზენიტო ჭურვთა ელვის ხანჯლები სერავენ ცას. ის თვითმფრინავიც უცებ კოცონად იქცა და მეტეორივით ჩახია ღამის სიბნელე.

—ჩვენს მთებში ცას ასე მოსწყდება ხოლმე ვარსკვლავი, ჩაილაპარაკა ოსმა ლეიტენანტმა, ალაგირელმა კარლ აგუზაროვმა.

— შენცა სთქვი რაღა, — გაუნაწყენდა გიორგი ჩაჩხუნაშვილი. — ვარსკვლავს როგორ შეადარე ეგ ჯოჯოხეთის მაშხალა?

კარლი შეცბა. ენა ერთი კი შეატოკა, მაგრამ ეტყობა შეკამათება ვეღარ იკისრა, ცოტანს იყუჩა და მერე თქვა:

— იქ, ცაში, ისეთი ბათქაბუთქია, შეიძლება ცას ვარსკვლავიც ჩამოსწყდეს და ჩამოვარდეს.

გიორგი ახლა კი ვეღარ შეედავა კარლს.

ცა ქუხდა, დუღდა, ზანზარებდა, წიოდა, შხიოდა, იწვოდა, თითქოს ზღვაში მთელი მილეთის ნავთ-ბენზინი ჩაუსხამთ და ცეცხლი წაუკიდებიათო.

2 მაისი. ისევ ბრესლაუ.

გამთენიისას კოკისპირული წვიმა წამოვიდა, ჩარეცხა და ჩავარცხნა ფერფლ-მტვარტლით ფერშემღვრეული ჰაერი.

როგორც იტყვიან, ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები გრძელდება. უკვე ერთ კვირაზე მეტია, იშვიათად თუღა ისმის თვითმფრინავთა მოტორების ღმუილი, ჭურვნაღმების ყეფა. მოწინააღმდეგენი ერთმანეთის გამოსაფხიზლებლად ავტომატების მოკლე ჯერებსა და შაშხანების ცალკეულ გასროლებს ვჯერდებით.

ნაშუადღევს ბატალიონის შტაბიდან დარეკეს: ბელორუსიის პირველი ფრონტისა და ჩვენი, უკრაინის პირველი ფრონტის ჯარებმა ბერლინი აიღესო.

— ბერლინი ავიღეთ! ბერლინი!!!

ჩვენი ასეულის ყოველი ლულიდან ზედიზედ ხუთ-ხუთი ნაღმი გამოენთო. მათ ხმას ავტომატ-შაშხანების ზალპი ჩაერთო. ბერლინის აღების ამბავი და უეცარი ცეცხლის ტალღა ესტაფეტასავით გადავიდა ასეულიდან ასეულში, ბატალიონიდან ბატალიონში, პოლკიდან პოლკში...

უეცრად ატეხილმა ცეცხლმა შეაფორიაქა გერმანელთა პოზიციები. მოწინააღმდეგეს ეგონა, შეტევაზე გადავდიოდით და იმანაც ცეცხლი გახსნა.

ისევ წვიმდა, გადაუღებლად წვიმდა.

9 მაისის გათენების წინ. სროლის ხმამ გამომაღვიძა, საათს დავხედე — სამი ხდება.

სროლის ხმა სამხრეთ-დასავლეთიდან მოდის.

ღამის ცა მგეზავი ტყვიებისაგან დაჭიმული სინათლის სქელი ძაფით იქსოვება. ახალ ვარსკვლავებად ენთება სხვადასხვა ფერის შუშხუნები და ჭურვები.

რა სროლაა? რა მოხდა?

ასობით კილომეტრის რადიუსში მოქმედი მტერი არ გვეგულება, და თუ მაინცდამაინც სადღაც გერმანელებთან გაჩაღდა ბრძოლა, ცას რატომ აწყდება ამდენი მგეზავი და მანათობელი ტყვია-ჭურვი?

მთელი ჩვენი პოლკი ბერლინის ავტოსტრადაზე გამოდის.

ავტოსტრადაზე ჭენებით მომავალი ცხენის ფლოქვების ხმა გაისმა.

ცხენოსანმა ჩაგვიქროლა და შემოგვძახა:

— ძმებო, ომი დამთავრდა, ომი! ფაშისტებმა უსიტყვო კაპიტულაციაზე მოაწერეს ხელი.

ომი დამთავრდა!

... იმ ჭერქვეშ ვბრუნდებით, რომლიდანაც ერთი საათის წინ სროლის ხმით დაფეთებულნი ბერლინის ავტოსტრადაზე გამოვცვივდით.

წერილები მივწეროთ ჩვენიანებს! — წინადადებას იძლევა ლეიტენანტი მაკაროვი.

მაგიდასთან ყველაზე ადრე მიმჯდარი ლეიტენანტის, ლეონიდ სმირნოვის, წინ დადებული სუფთა ფურცლისაკენ გამექცა თვალი. მისი ხელის თითებში ფანქარი ატოკდა და მხოლოდ ხუთი სიტყვა, ხუთადხუთი სიტყვა დაწერა:

— Мама, война кончилась!

Ура! Леонид.

ᲯᲐᲜᲝ ᲣᲠᲯᲣᲛᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲛᲝᲗᲮᲠᲘᲚᲝᲒᲘ

ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲐ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ

ᲛᲝᲗᲣᲠᲘ ᲓᲦᲔ, ᲠᲐᲪ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲙᲐᲪᲔᲡ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲘᲪᲚ-ᲨᲘᲜᲔᲚᲘ ᲓᲐᲡᲐᲯᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲘᲮᲜᲔᲑᲐ.

ᲛᲔ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲓᲐᲒᲠᲩᲘ. ᲡᲐᲛᲝᲪᲓᲐᲛᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲪᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲪᲝᲮᲐᲠᲔ ᲓᲐᲒᲠᲩᲘ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲔ.

ᲒᲣᲨᲘᲜ ᲩᲔᲛᲘ ᲣᲪᲮᲝᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲒᲐᲛᲘᲪᲮᲐᲚᲐ, ᲗᲐᲮᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲛᲓᲔ ᲡᲐᲮᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲘᲡ ᲨᲔᲛᲨᲘᲠᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲘᲜᲐᲮᲔᲛ.

ᲐᲛᲐᲜ ᲒᲐᲛᲘᲒᲝᲓᲐ ᲐᲗᲐᲡᲘᲗᲘᲗᲘᲗ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲨᲠᲘᲐ. ᲘᲪᲘᲪ ᲒᲐᲕᲘᲒᲔᲗ, ᲡᲘᲝᲒᲐᲜ ᲨᲔᲛᲝᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲗ ᲥᲐᲚᲘᲨᲘ ᲡᲐᲮᲘᲗᲐ ᲩᲐᲜᲓᲐ. ᲡᲝᲛᲪᲐᲠᲔ ᲘᲧᲝ, ᲪᲘᲪᲮᲘ ᲩᲐᲛᲝᲜᲐᲠᲩᲔᲑᲘᲡ ᲗᲣ ᲨᲔᲛᲬᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲘᲜᲐᲮᲔᲛ.

ᲓᲠᲝᲒᲐᲓᲐᲠᲛ ᲫᲐᲠᲐᲜᲐᲨᲘᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲣᲜᲯᲠᲘᲜᲓᲐᲜ ᲓᲐᲒᲠᲩᲘᲡ ᲘᲔᲚᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲓᲐᲒᲠᲩᲐ ᲗᲐᲕᲘ. ᲩᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲗ ᲓᲐᲐᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲐᲠᲘᲐ ᲝᲛᲐᲑᲘ ᲓᲐᲝᲓᲐ ᲗᲐᲕᲔ. ᲝᲠᲘ ᲓᲦᲔ ᲓᲐᲛᲔᲓᲘᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲒᲠᲘᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲠᲘᲐᲜᲘᲗ ᲒᲐᲒᲖᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡᲐ, ᲐᲮ ᲩᲔᲜᲘᲜ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲘᲪᲮᲝᲠᲘᲠᲔᲑᲡ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲠᲝᲛᲐ ᲩᲔᲜᲘ ᲓᲐᲒᲠᲩᲘᲡ ᲨᲣᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ. ᲛᲔ ᲓᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲬᲐᲛᲔᲑᲘ ᲓᲐᲛᲬᲧᲓᲐ. ᲛᲔ ᲓᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲬᲐᲛᲔᲑᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲜᲐᲮᲔᲛ.

ᲓᲠᲝᲒᲐᲓᲐᲠᲛ ᲨᲐᲠᲐᲜᲐᲨᲘᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲞᲔᲢᲠᲔ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲝᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲣᲜᲯᲠᲘᲜᲓᲐᲜ ᲓᲐᲒᲠᲩᲘᲡ ᲘᲔᲚᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲓᲐᲒᲠᲩᲐ ᲗᲐᲕᲘ. ᲩᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲗ ᲓᲐᲐᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲐᲠᲘᲐ ᲝᲛᲐᲑᲘ ᲓᲐᲝᲓᲐ ᲗᲐᲕᲔ. ᲝᲠᲘ ᲓᲦᲔ ᲓᲐᲛᲔᲓᲘᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲒᲠᲘᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲠᲘᲐᲜᲘᲗ ᲒᲐᲒᲖᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡᲐ, ᲐᲮ ᲩᲔᲜᲘᲜ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲘᲪᲮᲝᲠᲘᲠᲔᲑᲓᲐ.

ᲛᲝᲛᲬᲔᲜᲔᲠ ᲤᲐᲠᲐᲜᲐᲨᲘᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲤᲘᲜᲯᲠᲘᲜᲓᲐᲜ ᲓᲐᲒᲠᲩᲘᲡ ᲘᲔᲚᲘᲗᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲓᲐᲒᲠᲩᲐ ᲗᲐᲕᲘ. ᲩᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲗ ᲓᲐᲐᲕᲐᲚᲔᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲐᲠᲘᲐ ᲝᲛᲐᲑᲘ ᲓᲐᲝᲓᲐ ᲗᲐᲕᲔ. ᲝᲠᲘ ᲓᲦᲔ ᲓᲐᲛᲔᲓᲘᲢᲠᲘᲣᲚᲘ ᲒᲠᲘᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲠᲘᲐᲜᲘᲗ ᲒᲐᲒᲖᲐᲒᲠᲔᲑᲘᲡᲐ. ᲛᲔ ᲓᲐ ᲠᲐᲢᲛᲔᲠᲘᲪᲐ ᲐᲛᲐᲜ ᲐᲠ ᲛᲝᲛᲒᲘᲪᲕᲘᲚᲐ.

ᲝᲠᲘᲜᲯᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲗᲐᲕᲘ:

— ᲘᲡ ᲛᲝᲛᲘᲪᲘᲚ!

ᲞᲔᲢᲠᲔᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲠᲗᲘ ᲒᲐᲓᲐᲓᲔᲓ ᲓᲐ ᲬᲝᲠᲜᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲘᲓᲝᲡ ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲘᲡᲬᲘᲜᲔᲚᲘ.

ᲛᲔ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲓᲐᲒᲠᲩᲘᲡ. ᲡᲐᲛᲝᲪᲓᲐᲛᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲪᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲪᲝᲮᲐᲠᲔ ᲓᲐᲒᲠᲩᲐ ᲞᲘᲪᲘᲪᲮᲚᲔ.

ᲔᲠᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲕᲘᲚᲔᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲠᲘᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲨᲘ ᲡᲐᲮᲘᲗᲐ ᲩᲐᲜᲓᲐ. ᲡᲐᲛᲬᲐᲠᲘᲡᲬᲘᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲗ, ᲞᲔᲢᲠᲔ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲗ, ᲒᲐᲬᲘᲗᲠᲔᲑᲘᲗ ᲥᲐᲚᲘᲨᲘ ᲡᲐᲮᲘᲗᲐ ᲩᲐᲜᲓᲐ ᲓᲐᲐᲒᲠᲔᲑᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲤᲘᲡᲙᲝᲗᲮᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ.

ᲛᲐᲒᲠᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲙᲐᲚᲒᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲛᲘᲪᲕᲘᲚᲐ ᲞᲔᲢᲠᲔᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ:

— ᲠᲣᲡᲘᲜᲔᲑᲘ ᲝᲠᲘᲜᲯᲘᲡ ᲛᲬᲠᲘᲜᲐ ᲓᲐᲮᲐᲢᲕᲐ ᲓᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲒᲠᲘᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲨᲘ ᲡᲐᲮᲘᲗᲐ ᲩᲐᲜᲓᲐ ᲓᲐᲒᲠᲩᲐ ᲞᲔᲢᲠᲔᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

— ᲐᲮᲚᲐᲜ ᲩᲛᲘᲗ ᲓᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲬᲐᲛᲔᲑᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲜᲐᲮᲔᲛ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲜᲐᲮᲔᲛ.

ᲔᲠᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲠᲝᲛ ᲛᲘᲕᲘᲚᲔᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲠᲘᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲨᲘ ᲡᲐᲮᲘᲗᲐ ᲩᲐᲜᲓᲐ ᲐᲠᲘᲜᲐᲮᲔᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲒᲠᲘᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲗᲐᲕᲘ:

— ᲐᲮᲚᲐ ᲩᲛᲘᲗ ᲓᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲬᲐᲛᲔᲑᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲜᲐᲮᲔᲛ.

ᲞᲔᲢᲠᲔᲡ ᲘᲡᲘᲗᲮᲝᲚᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲠᲘᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲜᲐᲮᲔᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲒᲠᲘᲜᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲗᲐᲕᲘ:

— ᲐᲮᲚᲐ ᲩᲛᲘᲗ ᲓᲐᲜᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲬᲐᲛᲔᲑᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲜᲐᲮᲔᲛ.

ᲞᲔᲢᲠᲔᲡ ᲘᲡᲘᲗᲮᲝᲚᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲠᲣᲡᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲣᲚᲘᲡᲬᲐᲛᲔᲑᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲨᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲐᲠᲘᲜᲐᲮᲔᲛ.

ᲞᲔᲢᲠᲔᲡ ᲘᲡᲘᲗᲮᲝᲚᲔᲑᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲘᲡ ᲘᲪᲮᲝᲠᲘᲠᲔᲑᲓᲐ ᲓᲐᲜ

ჩემი ეჭვები პელენეს გავუზიარე.

— რა უნდობი ხარ! — გაბრაზებით მომახალა პელენემ.

ნაშუადღევს კაპიტნის ორდინარცევი მოვიდა. თვალები ჩასწითლებოდა. მხედრული აღმაფრენის შუქი აღარ ემჩნეოდა. უხალისოდ მოგვესალმა და ხმადაბლა, ცრემლნარევი ხმით გვითხრა:

— კაპიტანი დაიღუპა, მისი ნივთების წასაღებად მოვედი!

— როგორ თუ დაიღუპა? — იკივლა პელენემ. სახეზე ხელები მიიფარა, აცახცახდა.

უსიამოვნო ჟრუანტელმა ამიტანა, შემკრთალი ხმით ვიკითხე:

— სად, როდის?

— ამ დილით, რკინიგზის სადგურზე! — ორდინარეცმა გულამოსკვნით ამოიოხრა და ეს ამბავი მოგვითხრო:

კაპიტანი რკინიგზის სადგურში მორიგეობდა. ბაქანზე გასული მგზავრები ბერლინში მიმავალ მატარებელს ელოდნენ. ერთ გერმანელ ქალს მკერდზე ძუძუმწოვარა ბავშვი მიეკრა, სამი-ოთხი წლის ბიჭუნას კი ცალი ხელი დედის კალთაზე ჩაევლო, მეორე ხელში პატარა ბურთი ეჭირა.

ორთქლმავალმა მოაყვირა. მგზავრები აჩოჩქოლდნენ. რიარია და გნიასი შეიქნა, ამ არეულობაში ბიჭუნას ბურთი ხელიდან გაუვარდა და ლიანდაგზე გადაგორდა.

ბავშვი ბურთს გამოედევნა, ბაქანზე რომ ვერ დაეწია, ლიანდაგზე გადაჰყვა.

მემანქანემ მატარებელი დაამუხრუჭა, გაისმა ვაგონების შემაძრწუნებელი ღრჭიალი. მატარებელმა სიჩქარეს უკლო, მაგრამ მაინც განაგრძობდა სვლას. ორიოდე წამიც და, ორთქლმავალი ბავშვს გასრესდა.

გაოგნებული დედა შემზარავად კიოდა.

მგზავრები შედრკნენ, შეყოყმანდნენ. ბავშვის ხსნა შეუძლებელი იყო.

უცებ ლიანდაგზე კაპიტანი გადაეშვა, ბავშვს ხელი დასტაცა და ბაქანზე ისროლა, თვითონ კი ამოხტომა ვერ მოასწრო...

პელენე ცხარე ცრემლით ტიროდა. მე ერთხანს გაოგნებული ვიდექი.

ორდინარეცმა კაპიტნის ნივთები პატარა ჩემოდანში ჩააწყო და წავიდა.

მე და პელენე კაპიტნის დასაფლავებაზე წავედით. ადრე მოგვიწია მისვლამ. კაპიტნის ნეშტი ყაზარმის კლუბში დაესვენებინათ.

კუბოში კაპიტანი ცოცხალი გეგონებოდათ. ორთქლმავლის ძლიერ თვლებს მისი მოხდენილი სახის ნაკვთები დასასახიჩრებლად ვერ გაემეტებინა. ულვაშები ისევ ლამაზად ეყენა. ოდნავ წამოწეული იწვა, თითქოს შეიფრთხიალებს და არწივივით წამოფრინდებაო.

დავცქეროდი ცხედარს და მახსენდებოდა ერთხელ საუბარში ჩემთან ნათქვამი მისი სიტყვები. ყველაზე დიდ სიხარულს მაშინ განვიცდი, როცა დაჩაგრულ ადამიანს ვეხმარებიო. მაშინ არ დავიჯერე. ომში ხომ მეომრები შეუბრალებელნი და ბარბაროსნი ხდებიან! თურმე, ვცდებოდი!

გმირი ოფიცრის პატივსაცემად მთელი ქალაქი გამოვიდა. ქვემეხის ლაფეტზე აპირებდნენ კუბოს დადგმას, მაგრამ მოქალაქეებმა დაიჟინეს, ცხედარს ხელით მივასვენებთ საფლავამდეო.

დედებს შვილები მოეყვანათ, ბავშვებს ხელში ყვავილები ეჭირათ.

საფლავზე მიტინგი გაიმართა, კაპიტნის თანამებრძოლებმა მგზნებარე სიტყვები წარმოთქვეს. ბოლოს ომში დასახიჩრებულმა გერმანელმა ჯარისკაცმა ილაპარაკა.

— თავგანწირვა უკეთილშობილეს მოკვდავთა ხვედრია. ასეთი კაცნი უკვდავნი, მარად კეთილი მოსაგონარნი არიან! — დასძინა თავის ამაღელვებელ სიტყვას.

კუბო რომ სამარეში ჩაასვენეს, პელენემ პირჯვარი გადაიწერა, პეშვი მიწა საფლავს მიაყარა და უზომოდ დამწუხრებული გასასვლელისკენ გაემართა.

მიწა საფლავს მეც მივაყარე და პელენეს წამოვეწიე. გაფითრებული იყო, თრთოდა, ჩუმად ქვითინებდა.

●

რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენს კარზე ზარმა დაიწკარუნა.

ნეტავი, ვინ არის, ასე თამამად რომ რეკავს?!

დავიბენი, ენა მუცელში ჩამივარდა, ადგილიდან ვერ დავიძარი. კარი პელენემ გააღო.

კაპიტნის ორდინარეცი იყო. სახეზე კვლავ მეომრული აღმაფრენის შუქი დასთამაშებდა. თითქოს სასიხარულო ამბავს გვაუწყებსო, ქუსლი ქუსლს შემოჰკრა.

— კაპიტნის ოთახში ახლად დანიშნული კომენდანტის მოადგილე იცხოვრებს. ნავახშმევს მობრძანდება. მე კი მანამ ბინას დავალაგებ! — და ჩვენს პასუხს არ დაელოდა, განაპირა ოთახისაკენ გაემართა...

საბჭოთა კავშირის გმირები



გრიგოლ სხულუხია

პლატონ წიქორია

ვახტანგ ჩიქოვანი

ვლადიმერ ლურსმანაშვილი

ისრაფილ ჯინჭარაძე

ნოე ურუშაძე

ირაკლი აბაშიძე

კაპიტანი ბუხაიძე

მე, ქართველი ბუხაიძე,
ბალყარეთის მთებში ვწევარ...
რომ შემეძლოს საფლავიდან,
ძმებო, მხრების წამოწევა,

მე სიცოცხლეს ხელმეორედ
შევწირავდი მშობელ მხარეს,
შევწირავდი იმავ მიწას,
დღეს რომ გულზე დამაყარეს.

ვინც დამხედოთ, გადაეცით,
საქართველოს მთებს და
ველებს,
რომ მისი ძე, ბუხაიძე,
აქა ვულეტდი სისხლის
მსმელებს.

არ ვუშვებდი დარიალთან
გააფთრებულ ყვითელ
გველებს...
მე საფლავში არა ვწევარ,
აქ დარაჯად დამაყენეს.

და ვუბარებ ყოველ
ქართველს —
მისი წმინდა ვალი არი:
მოკვდეს, მაგრამ მკერდით
შეჰკრას
დერბენდი და დარიალი!

გიორგი ლეონიძე

არ დაიდარდო, დედაო!

1943 წლის 6 ნოემბერს ტამანის ნახევარკუნძულზე ვინახულე უცნობი ქართველი მეომრის საფლავი, ლევანი რქმეოდა.

ღიმილის ბიჭი ვიყავი,
ბეჭზე არწივი მეხატა,
ცხრამეტი წლისა შევსრულდი,
ოცი არ გადამეხადა.
სამშობლოს დროშა მეჭირა,
მტერს ვეცემოდი მეხადა!

ვისაც უნდოდა ქართველი,
რომ გამხდარიყო ხიზანი,
დავკარი, ვიყავ მართალი,
ვით ჩემი ტყვიის მიზანი...
ნუ დაიდარდებ, დედაო,
მწარე სიკვდილის სევდასა,
დღეო გადიდდი, გადიდდი,
შვილი ეყრება დედასა!
არ დაიდარდო, დედაო,
რაც მე სიკვდილით გაწყინე,
მე შენი ძუძუს ნათელი
საქვეყნოდ გამოვაბრწყინე!
მე გაგიხუნე ლეჩაქი,
მაგრამ დაგხურე შუქური,
სამშობლოსათვის დავთხიე
სისხლცვარი სიჭაბუკური!
მე არ დამკარგავს სამშობლო,
სულ ვეხსომები ლევანი,
სანამდის საქართველოში
იწურებოდეს მტევანი...

მტერთან ჩემ სიკვდილს ნუ
იტყვით,
დამალეთ ჩემი სამარი.
თუ მტერმა გკითხოს, უთხარი,
კრემლშია, სტალინთან არი!

და თუ სტალინმა მიკითხოს,
უთხარ, არ ვიყავ ჯაბანი,
იქ ვდგევარ, სადაც ნათობენ
სტალინის მამა-პაპანი!

ცხრა ძმათ მეათედ მიმიღეს,
პირზე მაყარეს ვარდები,
დაჭრილს, დამზრალს და
გზა-დაღლილს
დამხურეს მუზარადები.

თუ გაუჭირდა სამშობლოს,
კვლავ ცეცხლით
დავიდაგებით,
ჩვენ გამოვამტვრევთ
საფლავებს,
ხმლით ქართლის მთებზე
დავდგებით.

არ დაიდარდო, დედაო,
ნუ მიეცემი სევდასა,
დღეო, გადიდდი, გადიდდი,
შვილი ეყრება დედასა!

ხუტა ბერულავა

ვარსკვლავეთს მოსწყდა ვარსკვლავი

თბილისს მოვიდა ამბავი:
დაიწვა გული მზიანი,
ვარსკვლავეთს მოსწყდა
ვარსკვლავი —
ჭიჭიკო ბენდელიანი.

აცრემლდა დედა მშობელი,
აღარ ჰყავს შვილი ჭკვიანი,
ცის ლაჟვარდების
მპყრობელი —
ჭიჭიკო ბენდელიანი.

ჰეი, ნუ სტირით, კარგებო,
ცრემლი ნუ გინდათ ტალი,
არასდროს დაიკარგება
ჭიჭიკო ბენდელიანი.

„გამარჯვების" ორდენის კავალრები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 8 ნოემბრის ბრძანებულებით ჩვენს ქვეყანაში დაწესდა უმაღლესი სამხედრო ჯილდო — „გამარჯვების" ორდენი.

სტატუსის შესაბამისად, „გამარჯვების" ორდენით ჯილდოვდებიან მეთაურთა უმაღლესი შემადგენლობის ის პირები, რომლებიც წარმატებით ჩაატარებენ ფრონტის ისეთი მასშტაბის საბრძოლო ოპერაციებს, რომელთა შედეგადაც ძირეულად იცვლება ვითარება საბჭოთა არმიის სასარგებლოდ.

„გამარჯვების" ორდენით დაჯილდოებულნი არიან:

შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი ი. ბ. სტალინი — ორჯერ (1944 წ. 28 ივლისს და 1945 წ. 25 ივნისს);

უმაღლესი მთავარსარდლის მოადგილე, საბჭოთა კავშირის მარშალი გ. კ. ჟუკოვი — ორჯერ (1944 წ. 10 აპრილს და 1945 წ. 30 მარტს);

საბჭოთა კავშირის მარშალი ა. მ. ვასილევსკი — ორჯერ (1944 წ. 10 აპრილს და 1945 წ. 8 სექტემბერს);

უკრაინის 1-ლი ფრონტის სარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი (1945 წ. 30 მარტს);

ბელორუსიის მე-2 ფრონტის სარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი კ. კ. როკოსოვსკი (1945 წ. 30 მარტს);

უკრაინის მე-2 ფრონტის სარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი (1945 წ. 26 აპრილს);

უკრაინის მე-3 ფრონტის სარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი თ. ი. ტოლბუხინი (1945 წ. 26 აპრილს);

ლენინგრადის ფრონტის სარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ლ. ა. გოვოროვი (1945 წ. 31 მაისს);

საბჭოთა შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, არმიის გენერალი ა. ი. ანტონოვი (1945 წ. 4 ივნისს);

უმაღლესი მთავარსარდლობის ბანაკის წარმომადგენელი, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. კ. ტიმოშენკო (1945 წ. 4 ივნისს);

საბჭოთა კავშირის მარშალი კ. ა. მერეცკოვი (1945 წ. 8 სექტემბერს);

სსრ კავშირის თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის მარშალი ლ. ი. ბრეჟნევი (1978 წ. 20 თებერვალს).

„გამარჯვების" ორდენით დაჯილდოებულნი არიან აგრეთვე ანტიჰიტლერული კოალიციის უცხო სახელმწიფოთა შემდეგი სამხედრო პირები:

მოკავშირეთა საექსპედიციო შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი საომარი მოქმედების ევროპის ასპარეზზე, არმიის გენერალი დუაიტ ეიზენჰაუერი (1945 წ. 5 ივნისს);

ევროპაში მოკავშირეთა ჯარების 21-ე საარმიო ჯგუფის სარდალი, ფელდმარშალი ბერნარდ ლოუ მონტომერი (1945 წ. 5 ივნისს);

იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მთავარსარდალი, იუგოსლავიის მარშალი იოსებ ბროზ ტიტო (1945 წ. 9 სექტემბერს)...

„გამარჯვების" ორდენით დაჯილდოებულია 17 მხედართმთავარი. „გამარჯვების" № 1 ორდენით დაჯილდოებული იყო გ. ჟუკოვი, № 2 ორდენით — ა. ვასილევსკი.

მალსაზ აფრიდონიძე

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

იოსეპ ნონეშვილი

ოთხი ძმა ლესელიძე

ღამით, როდესაც მთვარეულ ნისლში
დგანან პალმები თავდახრილები,
ბუხარში ცეცხლის გუგუნი ისმის
და ციმციმებენ წინდის ჩხირები.

ცა ისე თეთრად ქათქათებს გვერდით,
ფრთით დაუფარავთ თითქოს თოლიებს.
სარკმელს მოსწყდება ვარსკვლავი ერთი
და დედის ფიქრებს გაიყოლიებს.

შორს, სადაც ხეებს გლეჯავს ქარ-ბუქი,
სადაც მტერს ზარი დასცეს გმირებმა,
მისი გაზრდილი ოთხი ჭაბუკი,
ოთხი ვაჟკაცი მტერს ერკინება.

ვერ მოადუნებს მათ მუხლებს დაღლა,
ვერც ყინვა, თეთრად იქ რომ კაშკაშებს.
„მოუკვდეთ ნენა, იქნება ახლა
თბილი წინდები უნდათ ვაჟკაცებს“...

ფხიზლობს, სარკმელში მსუბუქი ნისლით
კვლავ ირხევიან ხეთა ჩრდილები.
ცეცხლის გაბმული გუგუნი ისმის
და ციმციმებენ წინდის ჩხირები.

შემოდის მამა—ოჯახის ფუძე,
ბუხრის წინ გაზეთს გადაშლის ნელა,
გახარებული თვალებით უმზერს,
უმზერს და დედას თითქოს არ სჯერა.

ვინ ჩამოთვალა რიგრიგად ასე,
რაც იმამაცეს მისმა შვილებმა...
დედა ცრემლებით დაალბობს გაზეთს,
მამას ულვაშში ჩაეღიმება.

შორს, იქ კი, სადაც ტყვიის ქარ-ბუქით
მტერს ზარი დასცეს ჩვენმა გმირებმა,
მისი გაზრდილი ოთხი ჭაბუკი,
ოთხი ვაჟკაცი მტერს ერკინება.

მიხეილ დავითაშვილს — იულიუს ფუჩიკის სახელობის მედალი

ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურმა სამდივნომ ცნობილი ქართველი ჟურნალისტი, გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორი მიხეილ დანიელის ძე დავითაშვილი დააჯილდოვა იულიუს ფუჩიკის სახელობის სამახსოვრო მედლით დიდ სამამულო ომში აქტიური მონაწილეობისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის პროპაგანდის საქმეში დიდი წვლილისათვის.

* * *

ჟურნალ „დროშის“ სარედაქციო კოლეგია გულითადად ულოცავს ძვირფას მეგობარს, დიდი სამამულო ომის მონაწილეს მიხეილ დავითაშვილს, ამ მაღალ ჯილდოს და უსურვებს ახალ შემოქმედებით წარმატებებს.

ომის მოზაიკა

* * *

ისტორიკოსები დღესაც დაობენ, აპირებდა თუ არა, ჰიტლერი ალყაშემორტყმული ბერლინიდან გაქცევას.

ფაქტი ფაქტად რჩება: ფიურერის თავშესაფრის მახლობლად გაშენებულ პარკში, ომის უკანასკნელ დღეებში სახელდახელოდ მოაწყვეს პატარა აეროდრომი, რომელზეც ასაფრენად გამზადებული თვითმფრინავი იდგა.

აეროდრომი გულმოდგინედ იყო შენიღბული.

საბჭოთა მფრინავებმა, რომელთა შორის იყო დღევანდელი ავიაციის მარშალი ე. სავიცკი, შენიღბული აეროდრომი აღმოაჩინეს.

არ დაუყოვნებიათ, ჩვენმა გამანადგურებლებმა აეროდრომი ნანგრევებად აქციეს.

* * *

რაოდენ დიდი იყო გაოცება, როცა 1945 წლის მაისში, საბჭოთა მეომრები მესამე რაიხის იმპერიის კანცელარიაში შეიჭრნენ და ჰიტლერის მისაღებში სტენდზე გამოფენილი საბჭოთა საავიაციო ტყვიამფრქვევი „შკას“-ი დაინახეს.

საბჭოთა კონსტრუქტორების ბ. შპიტალინის და ი. კომარიცკის მიერ შექმნილი საავიაციო ტყვიამფრქვევი „შკას“-ი მეორე მსოფლიო ომში ტოლუპოვარი საბრძოლო იარაღი იყო სისწრაფეში — იგი წუთში 1800 ვაზნას ისროდა.

ჰიტლერის ბრძანებით, საბჭოთა საავიაციო ტყვიამფრქვევი მისაღებში მანამდე უნდა ყოფილიყო გამოფენილი, ვიდრე გერმანელი კონსტრუქტორები მის ბადალ ტყვიამფრქვევს დაამზადებდნენ.

* * *

ეს იყო იშვიათი შემთხვევა.

მურმანსკის მახლობლად, საბჭოთა გამანადგურებლები წააწყდნენ ფაშისტთა თვითმფრინავს, რომელიც თავისიანებს ჩამორჩენოდა.

საბჭოთა მფრინავებმა გადაწყვიტეს, ხელთ ეგდოთ ფაშისტი და ახალთახალი თვითმფრინავი „ფოკევულფი“.

ბრძოლა ცოტა ხანს გაგრძელდა, ფაშისტი იძულებული გახდა დანებებულიყო. სხვა ჩარა არ იყო: დღისით, მზისით, გერმანელმა პილოტმა შეიარაღებული სამხედრო თვითმფრინავი ქალაქის ხალხით სავსე ცენტრალურ პროსპექტზე დასვა.

* * *

მოსკოვის კრემლი ფაშისტ ბომბდამშენთა თავდასხმისაგან .საიმედო საჰაერო თავდაცვის მეოხებით დაუზიანებელი გადარჩა.

კრემლის მახლობლად ჰიტლერელებმა შეძლეს მხოლოდ რამდენიმე ბომბი ჩამოეგდოთ.

— უძლიერესი საჰაერო თავდაცვა მოსკოვის ზეცას შეუვალს ხდის, — განაცხადა გერმანიის გენშტაბის გენერალმა ფ. გალდერმა.

1942 წლიდან ფაშისტებმა მოსკოვის დაბომბვა შეწყვიტეს.

* * *

მტერი მოსკოვისკენ მოიწევდა. გერმანელ ფაშისტთა პროპაგანდა გაჰყვიროდა, წითელი არმია და მისი საჰაერო ფლოტი განადგურებულიაო.

და აი, მთელი მსოფლიო შეძრა საბჭოთა კავშირის საინფორმაციო ბიუროს ცნობამ, რომ 1941 წლის 8 აგვისტოს ჩვენმა თვითმფრინავებმა ბერლინი დაბომბეს.

ბერლინზე პირველ თავდასხმებში მონაწილეობდნენ ქართველი მფრინავები გრიგოლ ჩიტაიშვილი და კარლო მებაღიშვილი. მებაღიშვილი შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირი გახდა.

* * *

1943 წელს, სუზდალში საგანგებოდ ორგანიზებულ ბანაკში სტალინგრადიდან ათასობით გერმანელი სამხედრო ტყვე ჩაიყვანეს.

ბევრი ტყვე ტიფითა და სხვადასხვა სენებით იყო დაავადებული.

ბანაკის მახლობლად განლაგებულ ჰოსპიტლებში საბჭოთა ექიმებმა მრავალი ავადმყოფი სამხედრო ტყვე გადაარჩინეს სიკვდილს.

იყო შემთხვევები, როცა ტყვეების მკურნალობის დროს მომსახურე პერსონალიც დაავადდა. მაგალითად, ტიფი გადაედო ექიმებს ლ. სოკოლოვას, ი. კისილიევას, ჰოსპიტლის მედნაწილის უფროსს ვ. მილენინს, მთარგმნელ ა. რეიტმანს...

* * *

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 24-ე წლისთავის წინ, ფაშისტებმა მოსკოვში უამრავი ფურცელი ჩამოყარეს.

ჰიტლერელები იუწყებოდნენ, რომ 7 ნოემბერს, წითელ მოედანზე მათი ჯარების ტრიუმფალური პარადი მოეწყობა.

წითელ მოედანზე 7 ნოემბერს პარადი მართლაც შედგა. მავზოლეუმის წინ მწყობრი ნაბიჯებით ჩაიარეს საბჭოთა ჯარებმა, რომლებიც მტრის გასანადგურებლად მიეშურებოდნენ.

* * *

1945 წელს, როცა ქალაქს ტოვებდნენ, გერმანელმა ფაშისტებმა გადაწყვიტეს, პირისაგან მიწისა აღეგავთ კრაკოვი.

საბჭოთა მზვერავთა ჯგუფმა, რომელსაც კაპიტანი ევგენი ბერეზნიაკი მეთაურობდა, ფაშისტთა ჩანაფიქრი შეიტყო.

აფეთქება არ მოხდა. ოპერატიულმა საბჭოთა მზვერავებმა თავგანწირული ბრძოლით განადგურებისაგან იხსნეს პოლონეთის ისტორიისა და არქიტექტურის სიამაყე — ქალაქი კრაკოვი.

ევგენი ბერეზნიაკი ამჟამად კიევში ცხოვრობს.

* * *

ყაზახეთში, ქალაქ ჯამბულის სამედიცინო სასწავლებელის დირექტორის მოადგილის საოჯახო არქივში ინახება სამედიცინო მოწმობა, რომელიც ადასტურებს, რომ ორმოც წელზე მეტია, რაც კ. ომაროვის გულში ტყვიაა ჩაჯედილი.

სამედიცინო სასწავლებლის ახლანდელი დირექტორის მოადგილე კ. ომაროვი დიდი სამამულო ომის მონაწილეა. ერთ-ერთ ბრძოლაში იგი მძიმედ დაიჭრა და გონება დაკარგა. ჰოსპიტალში ავტორიტეტულმა სამედიცინო კონსილიუმმა დაადგინა, რომ საქმე იშვიათ შემთხვევასთან ჰქონდათ — ტყვიით გახლეჩილი გული ფეთქვას განაგრძობდა.

დაჭრილი თანდათან უმჯობესდებოდა. ექიმებმა უარი განაცხადეს სახიფათო ოპერაციაზე და კ. ომაროვი დღემდე გულით ატარებს ტყვიას.

* * *

გერმანელმა ფაშისტებმა 1941 წლის 22 ივნისს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაძრეს 190 დივიზია — 5,5 მილიონი ჯარისკაცი და ოფიცერი, 5 ათასამდე საბრძოლო თვითმფრინავი, 4300 ტანკი, 47200 ქვემეხი და ნაღმსატყორცნი...

საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე ჰიტლერელთა არმიამ დაკარგა 10 მილიონზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, 70 ათასზე მეტი თვითმფრინავი, 50 ათასი ტანკი, 167 ათასი საარტილერიო ქვემეხი, 2500 სხვადასხვა ხომალდი...

დიდ სამამულო ომში ჩვენმა სამშობლომ 20 მილიონი ადამიანი დაკარგა. ამ რიცხვში შედიან არა მარტო ისინი, რომლებიც ბრძოლებში დაეცნენ, არამედ ფაშისტთა ბარბაროსობის მსხვერპლნიც — ბავშვები, ქალები, მოხუცები, გადაბუგულ სოფლებსა და ქალაქებში, ტყვეობაში, საკონცენტრაციო ბანაკებსა და სხვა სიკვდილის ბანაკებში დაღუპულნი...

დავით კვიცარიძე

კეკლიჩის ცარცვის სიკვლილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეზია

ასწლოვანი ცაცხვებით, ჭადრებითა და ნაძვებით დახუნძლულ-დამძიმებული, საგანგებოდ დაკვალულ-დაბილიკებული და ყვავილებით განებივრებული ბაღი ქალაქის მშვენება იყო.

ბაღის კიდეზე ისე როგორ ჩაივლიდნენ აქაურები, რომ მისი სიგრძე-სიგანე არ გადაეზომათ.

სულ სავსე იყო ბაღი ხალხით.

ჭაღარაშერეულნი საიმდღისო ჭირ-ვარამზე ბჭობდნენ.

უფრო ხნიერნი ისხდნენ და დამჭკნარ-დაკვარჩხული თითებით ქარვის კრიალოსანივით მარცვლავდნენ ფიქრებს.

სხვანი და სხვანი დადიოდნენ, დასეირნობდნენ, ერთობოდნენ.

შუაზე გაპობილი საზამთროს მსგავსი ნიჟარით ნახევრად გადახურულ ესტრადაზე უკრავდა სამხედრო ორკესტრი.

ერთ დღეს ყველაფერი გაქრა, ბაღში სიცოცხლე ჩაკვდა და ჩასამარდა.

ომი დაიწყო.

ვისღა ახსოვდა ცაცხვები და ყვავილები. სადღა იყო სამხედრო ორკესტრი. ქუჩიდან-ქუჩაზე გზის შესამოკლებლად თუ გადასჭრიდა ვინმე ბაღს, თორემ დღე ისე ჩათავდებოდა, კაცისშვილი არ შეიხედავდა შიგ.

ომის ჭირი ბაღსაც თანდათან აპატარავებდა და აჩანაგებდა.

ზამთარში წაიქცა რამდენიმე ხე, ერთმა მეორე წაიყოლა, ჩალეწა და ჩააწვინა.

ეს იყო პირველი ზარი, მაგრამ მისი რეკვა არავის გაუგონია.

ომი იყო.

მერე მაისი.

ის მაისი...

მოცოცხლდა ბაღი, თუმცა კაცის ხელი აქ არაფერს შეხებია. კაცის ხელს ბაღისთვის არ ეცალა, კაცის ხელი ჩამოქცეული ოჯახის ჭერს ეყენა ბიჯგად.

იდგნენ ბაღში ხეები, უსიცოცხლონი, საცოდავად გაძარცულნი.

მიწას აღარ აჩნდა გზა-ბილიკი, მაგრამ მოვიდნენ ადამიანები და ქუჩიდან ქუჩაზე გზის შესამოკლებელი ბილიკიც გაიტკეპნა.

ერთნი რომ იმ ბილიკით მიდიოდნენ და მოდიოდნენ, მეორენი ისე, უმისამართოდ არჩევდნენ ბორიალს, მესამენი კი...

კაცს კაცის გაყოლა თუ დასჩემდა, ჩვევად აქცევს, არ იცის, ვინაა ან საით მიდის წინმავალი და მაინც მისდევს.

გაიტკეპნა, დაიკვანძა ბილიკები ბაღში.

ერთი ზეზეულად გამოფუტურებული ცაცხვი, ჯერ კიდევ რომ ეთქმოდა სიმწვანე მის შემხმარ ტოტებს, შემცივნებული ბერიკაციკვით მიყუჟულიყო ბაღის შორეულ კუთხეში.

ცაცხვის ძირას საღებავაქერცლილი სკამიც იდგა.

ბებერი ცაცხვი და გაქუცული სკამი ერთგვარ სიმყუდროვეს ქმნიდნენ.

საღამო ხანს ბაღში თუ შეივლიდით და იმ ცაცხვისკენ ინებებდით გახედვას, უსათუოდ შენიშნავდით სამხედრო პლაშჩიან ახალგაზრდას, ადრეული ჭაღარა, ყურის ძირიდან რომ შერეოდა თმას.

ლეიტენანტი იყო. საოფიცრო ნასამხრეები ნაბატონარივით აჩნდა კოჭებამდე დაშვებულ პლაშჩს, იჯდა და გაზეთის ნახევში გახვეულ თუთუნს ეწეოდა.

სუსტი ქარი პლაშჩის მარცხენა სახელოს ისე არხევდა, როგორც ბავშვი არხევს ხელში ძალად შეჩეჩებულ პაწია დროშას.

წარბს ქვემოთ, საფეთქელთან, ორ პაწაწკინტელა ღარად მიჰყვებოდა ნაიარევი და შეთეთრებულ თმებში ისე იკარგებოდა, როგორც საცალფეხო ბილიკები შედიან და იკარგებიან ტყეში.

იარას ოდნავ, სულ ოდნავ დაეპატარავებინა მარცხენა თვალი.

ლეიტენანტს შეყვითლებული, ყდაგაცვეთილი წიგნი ეჭირა.

დროდადრო ჯიბიდან სათუთუნეს ამოიღებდა, ნიკაპის მოშველიებით გახსნიდა, პაპიროსებად შეხვეულ თუთუნს მოსწევდა.

იჯდა, კითხულობდა, თუთუნს ეწეოდა, ფიქრობდა.

ლეიტენანტი პირველად მასავით ნაომარმა, გამოხუნებულშინელიანმა კაცმა შენიშნა, მივიდა და საკუთარი ხელით გამოჩორკნილი, მახორკით გაბესკნილი ბროწეულა ყალიონი მიუშვირა, ცეცხლი მომიკიდეო.

ჩამოჯდა.

— გვარიანად გიომნია! — შეათვალიერა, მოეჩვენა, რომ ლეიტენანტმა თავი დაუქნია.

— რომელ ფრონტზე?

ლეიტენანტს არც მიუხედავს.

შინელიანი ადგა, წავიდა და „ბოდიში ბატონო“, რომ გაიგონა, აღარ შემობრუნებულა, ხელი ჩაქნია, მიგიხვდიო.

მერე ორ ქალიშვილს აუტყუდა ბაღში წრიალი...

ლეიტენანტი რომ გამოჩნდებოდა, ნახევარ, ჰა და ჰა, ერთ საათში ისინიც შემოცქრიალდებოდნენ ბაღში და, რა თქმა უნდა, შორეულ კუთხისაკენ გაისეირნებდნენ.

ერთხელ შეჩერდნენ, ლეიტენანტს მოუბოდიშეს და ჩამოსხდნენ.

ლეიტენანტი ისედაც სკამის კიდეზე იჯდა. სადღა უნდა ჩაწეულიყო, მოიხედა და თუთუნის ნამწვავი გვერდშეჭყლეტილ ურნაში ჩააგდო.

ქალიშვილებმა შეწყვეტილი მუსაიფი განაახლეს. ერთი დიდი ამბით ჰყვებოდა, თუ როგორ შეხვდნენ ინსტიტუტში ომიდან დაბრუნებულ სტუდენტს, მეთაურს, ორდენოსანს.

ლეიტენანტი უნებურად ისმენდა მათ საუბარს, კმაყოფილიც იყო, ქალიშვილები ბევრად უფრო სერიოზულნი ჩანდნენ, ვიდრე პირველად მოეჩვენა.

— თქვენც ხომ გაქვთ ორდენები? — ჰკითხა ერთმა.

რა უპასუხოს?

გადასწიოს პლაშჩი და მკერდი მიუშვიროს?

თავი დაუქნია.

— გაიცანით, ჩემი მეგობარია, მესამე კურსის სტუდენტი, — წარუდგინა ერთერთმა ქალიშვილმა ამხანაგი.

— ნელი! — თქვა მეორემ.

— მე ციცინო მქვია, — გაიგრძელა პირველმა და ვაჟის გამოწვდილ ხელს ისე შეეხო, თითქოს სპილოს ხორთუმს შეხებოდეს.

ცივი იყო ლეიტენანტის ხელი, ცივი, უგრძნობი და გაუძლურებული.

— არჩილი! — თქვა მან.

. . .

...მერე გახშირდა შეხვედრები, ბებერ ცაცხვთან მოდიოდნენ ქალიშვილები. სადაც უკვე იჯდა არჩილი, ოდნავ წამოიწევდა და თავის დაკვრით ესალმებოდა მათ.

— თქვენ ყოველთვის აღტაცებით კითხულობთ წიგნს, — გამომწვევად უთხრა ერთხელ ციცინომ.

— აღტაცებით? — გაუკვირდა არჩილს.

— ჰო, გატაცებით კი არა, აღტაცებით! და ეს გემჩნევათ

— არა, — მიუგო არჩილმა. — აღტაცებით ვერ ვკითხულობ, აღტაცების მოლოდინია, რომ მაღელვებს და, ალბათ, შეუძლებელიცაა ამის დაფარვა. თუმცა არც მიცდია, — თქვა და ღიმილი ისე გამოსწურა საკუთარ სახეს, როგორც ბროწეულს გამოსწურავენ ხოლმე ქალები.

ვერ ჩაითრიეს, საუბარში ვერ შეიყოლიეს, თუმცა უტევდნენ და ეძალებოდნენ, ისიც პასუხობდა, მაგრამ სიტყვას, სათქმელს წინასწარ მოსდრეკდა და არამც და არამც არ გაათბობდა.

იერიში გრძელდებოდა, განსაკუთრებით ციცინო აქტიურობდა, მას ყოველთვის მოჰქონდა ახალი ამბები და გატაცებით ყვებოდა.

— ბიცოლა მყავს, ნიჟარაძის ქალი, ძველი გიმნაზიელი, განათლებული, ყველა სიკეთით შემკული.

ქმარი ადრე გარდაეცვალა და ორ შვილს შეეწირა.

უმცროსი ომში დაიღუპა, უფროსი ნაჭრილობევი, თითქმის ხეიბარი, — წამოცდა, ენა გატკვირა და არჩილს შიშით შეხედა, ეს რა წამოვროშეო.

ლეიტენანტი გარინდულ-გაბუსუნებული ისმენდა, ალბათ, ისმენდა. ციცინომ განაგრძო:

— დაბრუნდა ომიდან უფროსი ვაჟი, იმ დღესვე მოინახულა ნათესავნი, მეგობარნი და ახლობელნი. ზოგს მიუსამძიმრა, ზოგს იმედი მისცა, შავ ქაღალდს არაფერი დაეჯერება, შვილი დღეს თუ არა, ხვალ კარზე მოგადგებათო.

მერე სიყვარული, ომში წასვლის წინ დათქმული სიტყვა და ფიციც გაიხსენა, მიიძ-მოიძია და გადაირია...

ჯიქურ მიეჭრა ღიპიან ქმარს, ცხვირწინ ააცალა სამი თვის შერთული მეუღლე, შინ დედას მიჰგვარა და უთხრა: — დღეიდან ეს გოგო შენი რძალი იქნებაო.

ნიჟარაძის ქალმა ჯერ სახედატალულ, სახეშეშუპებულ, დამფრთხალ და დაბნეულ გოგოს შეხედა და მერე შვილს მიუბრუნდა:

— ობლობაში გაგზარდე, მაგრამ გამონაცვალი... გამონაცვალი, — დამარცვლა, — პერანგიც არ ჩამიცმევია შენთვის.

ციცინო და არჩილი ერთმანეთს შეაჩერდნენ.

გაგრძელდა წამი.

მეტი ვეღარაფერი მოახერხა და სათუთუნე ამოიღო. ციცინო ეცა, ჩამოართვა, გახსნა და გაწყობილი პაპიროსი დარდიმანდულად დაიჭირა ორი თითით. არჩილმა ასანთი მიაწოდა. ციცინომ მოუკიდა, გააბოლა, არ დაუხველებია.

და მაინც ეს არ იყო მთავარი, მთავარი ნელიმ შენიშნა...

ციცინომ მოკიდებული პაპიროსი არჩილს გადასცა და მან უზომო ჟინით, უზომო მოწყურებით მოქაჩა და კვამლს თითქოს სიცოცხლე ამოაყოლა.

მეორე დღეს ლეიტენანტს კატეგორიულად მოსთხოვეს, რომელიმე საბრძოლო ეპიზოდი გაიხსენე და მოგვიყევიო.

ცაცხვის ჩრდილი მიწას ელაციცებოდა. იკლაკნებოდა, ირხეოდა.

ასე ირხეოდა და იკლაკნებოდა ლეიტენანტის გონებაში გერმანელთა მურამწვანე კიტელები...

და დაიწყო. ოდნავ ჟღრიალა, რაღაცნაირად გასაცოდავებული ხმა ჰქონდა, როცა ლაპარაკობდა, საფეთქელთან ორი პაწაწინა ღარი უცახცახებდა.

— მეექვსეჯერ მოვიგერიეთ. მერე იერიშიც ვცადეთ. სანახევროდ გაწყდა პოლკი. ნაბრძანები გვქონდა, ჩვენს წინ გაწოლილი ხევი არ დაგვეთმო, მანდ მოკვდითო და ჩვენც ვკვდებოდით. ზოგი იქ, წინა ხაზზე, ზოგნი აქეთ, ცოტა მოშორებით, სადაც მოწყალების დები მძიმედ დაჭრილებს ექმ ანდრო გელოვანთან მოგვათრევდნენ.

გელოვანი იქვე კვეთდა და კერავდა დაგლეჯილ ჯარისკაცებს.

გაწყდნენ მოწყალების დები.

სახედასისხლულ, თავშებინტულ ექმს თავად გამოჰყავდა დაჭრილები ჯოჯოხეთიდან, ჯერ ბინტით უხვევდა ჭრილობებს. მერე პერანგიც შემოიხია, ხალათიც ზედ მიაყოლა და ისევ ხევისაკენ გახოხდა.

და, როცა ორი ჯარისკაციც თითქმის გამოიტანა სამშვიდობოს, კვნესა მოესმა, კვნესა და „ვაი დედას“ ძახილი.

ქართველი ბიჭი იცლებოდა სისხლისაგან, თავდებოდა.

— მიშველე, ბატონო! — შესტირა ბიჭმა.

— ნუ გეშინია, ახლავე, ამ წუთში, ამ წუთში შეგიხვევ. ახლავე... მაგრამ რით, მაგრამ როგორ? მაგრამ რანაირად?

წამიერი ყოყმანი და უცებ შებინტულ თავზე იტაცა ხელი, სწრაფად შემოიხსნა სისხლიანი ბინტი და ბიჭს ჭრილობა შეუხვია...

* * *

... ერთხელ ციცინო მარტო შემოვიდა ბაღში, შორიდანვე შენიშნა არჩილმა. ქალიშვილს თეთრი, კოპლებიანი კოფთა და წითელქობაშემოვლებული ქვედაკაბა ეცვა.

ანგელოზს ჰგავდა.

უფრო ნაღვლიანი და ფიქრიანიც ეჩვენა.

რაღაცნაირი მოწიწებით დაელაპარაკნენ ერთმანეთს და გაჩუმდნენ.

აუტანელი გახდა დუმილი, არჩილი ბებერი ცაცხვის შემხმარ კენწეროს უცქერდა, უცებ მოიხედა და შეისწრო.

ციცინო დაჟინებით მისჩერებოდა მისი პლაშჩის მარცხენა სახელოს.

იმ დღეს მეტი აღარაფერი თქმულა.

გავიდა სამი დღე, ციცინო აღარ გამოჩენილა.

არჩილი იჯდა და მხოლოდ ერთი მიმართულებით იცქირებოდა.

ციცინო არ ჩანდა, ნელი სულ დაიკარგა.

ყველაფერი ცხადი იყო და ნათელი.

თუთუნის კვამლი ითხოვა გულმა, მაგრამ ხელს... მაგრამ ხელს... პლაშჩის ცარიელი სახელო ჩაებღუჯა...

* * *

... მეოთხე დღეს გამოჩნდა, სწორედ იმ ჭიშკარში შემოვიდა, საიდანაც მოელოდა.

ღმერთო ჩემო, გამოჩნდა!

ჩქარი ნაბიჯით მოდიოდა, არჩილი თვალს არ აშორებდა და რამდენადაც უფრო ახლოვდებოდა, იმდენად უფრო ხვდებოდა, გრძნობდა.

მოვა და ეტყვის.

არა, ჯერ ღიმილით მოუბოდიშებს, აღარ მცალიაო.

სესიები დამეწყოო.

არ გეწყინოსო.

აბა რას ელოდი?

აბა რა გეკუთვნოდა?

ციცინო კი...

სამი ღამეა მის თვალს რული არ წაჭკარებია.

სამი ღამეა ედავება, ეკამათება და ებრძვის თავისსავე ორეულს, დიდებულ გრძნობას რომ დასცინის და დაჰხითხითებს.

აჯობა, და მაინც ვერ გამოეტია, ვერ გამოეცხადა ლეიტენანტს, ვერ აუწყა... რა?

გუშინ სამჯერ შემოუარა ბაღს. სამჯერ შეიხედა მყუდრო კუთხეში.

დღეს გადაწყდა.

მაისის ამ დიდებულ საღამოს მოვიდა, რათა აუწყოს...

დიახ, თვითონვე აუწყებს და ვერც ვერავინ დაძრახავს ამ სითამამეს.

ცივი იყო ლეიტენანტის ხელი, ცივი, უგრძნობი და გაუძლურებული...

— არჩილ! მე შენ მიყვარხარ! მე შენ მართლა მიყვარხარ, არჩილ! — შეჰღიმა.

ერთმანეთს შეაშტერდნენ.

გაგრძელდა წამი.

მზერა გათბა და განაღვლიანდა, მერე თანდათან დაიკარგა სითბო და ციცინომ დაინახა ცივი და გასაცოდავებული თვალები.

— არა! — ხმადაბლა თქვა ლეიტენანტმა და მთლად გაულიგდა მზერა.

ქვითინი წასკდა ქალიშვილს და სახეზე აიფარა ხელები.

ლეიტენანტი ნელა მოიხარა, სკამქვეშიდან ყავარჯენი გამოიღო, მოიმარჯვა და წავიდა.

ფეხის ხმამ, პროტეზისა თუ ყავარჯნის ყრუ ღრჭიალმა მოაფხიზლა ციცინო, თავი ასწია და, გაშტერდა...

მაისის წყნარი საღამო ისე ჩათავდა, ნიავი რომ ნიავია, არც იმას დაუქროლია.

აბა რამ წააქცია ბებერი ცაცხვი!?



უმაღლესი მთავარსარდლის მადლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეფანე და ეკატერინე ბაღდოშვილები

1942 წელი იდგა. კავკასიის მისადგომებთან ქვემეხები გრიალებდნენ.

შუაღამემ მოატანა, როცა გორის რაიონის სოფელ სვენეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სტეფანე ბაღდოშვილი შინ დაბრუნდა.

ბალღებს ეძინათ.

აქეთ, ოთახის კუთხეში მიდგმულ პაპისეულ ტახტზე, ვალიკო, გურამი და რობინზონი იწვნენ, ვენერასა და ციცქნა ლამარასთვის დედას ტახტის იქითა მხარეს დაეგო ქვეშაგები.

— ხომ მშვიდობაა? — ზღურბლთან მიგებებული ქალი ყრუ ხმით შეეხმიანა მეუღლეს.

სტეფანე ჩამოჯდა. მაგიდის ძგიდეზე იდაყვებით ჩამოდებულ ხელებზე შემოდო თავი და ფიქრებში წასული დააცქერდა ცოლს.

ოთახში გამეფებულ მდუმარებას კედელზე ჩამოკიდებული გირებიანი საათის გულისგამაწვრილებელი ტიკ-ტიკი არღვევდა.

— სახლს ვერ ავაშენებთ! —სტეფანე წამოზეზევდა. რამდენიმე ნაბიჯი უსიტყვოდ გაიარ-გამოიარა და მოუჯრა, — ფული თავდაცვის სახელმწიფო ფონდში უნდა შევიტანოთ!

ტახტი გაჭრიალდა.

სადღაც შორს, ზემო უბანში, ნაგაზები აყეფდნენ.

— ზღვა წვეთებისაგან შედგება, არა რო?

ქალმა დასტურით დააქნია თავი.

— ჩვენი ოჯახი ჩვენი დიდი ქვეყნის წვეთია. ქვეყანას უჭირს და უნდა შევეშველოთ. თანახმა ხარ?

ახლა კატო წამოდგა.

ფიქრებში წასულმა ჩაიმუხლა. კამოდის გამოღებული უჯრა მიქექმოქექა. მოიძია და თავი არც აუღია, ისე ჩაიდუდუნა:

— აჰა, ესეც დაამატე!

ათასი მანეთი იყო.

ისევ აჭრიალდა ტახტი.

გომურში ძროხა აზმუილდა.

ხეზე ჩამოსკუპებულმა მამლებმა მეორედ იყივლეს.

— მამი...

ტახტზე სიყრმის შვილი, ცამეტი წლის ვალიკო წამომჯდარიყო, ცალ თვალს იფშვნეტდა, ცალი დაეღო და მშობლებს შესცქეროდა.

— მამი, ომი მალე დამთავრდება, არა?

— კი.

— ჰოდა, როცა დამთავრდება, ველოსიპედს მაშინ ვიყიდი.

ცოლ-ქმარმა ერთმანეთს გახედგამოხედეს.

— ძია იაკობმა, ხო გახსოვს, ორასი მანეთი მაჩუქა.

— მახსოვს.

— ის ფული, ღედას მოცემული აი მაგ ფულს დაამატე. ჰო?

დაამატეს. რაც ეშოვებოდათ, ერთიანად მოუყარეს თავი. დაითვალეს, დაიანგარიშეს და თავდაცვის სახელმწიფო ფონდში 257.000 მანეთი ჩააბარეს...

ის დღეც მიილია...

ბინდდებოდა, როცა კატომ საოჯახო საქმე მოათავა. მიჯდა მყუდროზე. მოიმარჯვა ჩხირები და ის-ის იყო, ფრონტზე გასაგზავნი წინდების ქსოვა დაიწყო, რომ ბაღდოშვილების ეზოს უამრავი ხალხი მოაწყდა.

მთელი სოფელი დაკრეფილიყო.

სოფლის საბჭოს თავმჯდომარეც აქ იყო, კარის მეზობელი თამარ საათაშვილიც, მარო მიქელაძეცა და შალიკო და კატო წკრიალაშვილებიც, ოგანეზოვი აბრამა და აბულაძე ალიოშა დედაბუდიანად დაძრულიყვნენ.

სამახარობლოდ მორბოდნენ.

საქართველოს კომპარტიის გორის რაიონულ კომიტეტში სტეფანე ბაღდოშვილის სახელზე მოსკოვიდან გამოგზავნილი უმაღლესი მთავარსარდლის ი. ბ. სტალინის მადლობის ბარათი მოსულიყო...

მრისხანე 1942 წელი იდგა.

კავკასიის მისადგომებთან ქვემეხები გრიალებდნენ.

ოთარ ქავთარაძე

საბჭოთა ✪ ქავშირის გმირები

არუთინ ჩაკრიანი

ბორის წულუკიძე

ვახტანგ ლეჟავა

სურენ ასლამაზიშვილი

ᲓᲘᲚᲐᲠ ᲘᲕᲐᲠᲓᲐᲕᲐ

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲜᲐᲗᲥᲕᲐᲛᲘ

მომაქვს საქართველოს მართალი მიწა,
ორმოცი წელი ამ წამისთვის ვცხოვრობდი თითქოს...
სევდა, წუხილი, მწუხარება, ჩემს გულში იწვა
და დღემდე აღარ გავაკარე მთრთოლვარე სტრიქონს...

მომაქვს მე ერთი მუჭა მიწა, მიწა ქართული
და ამ მიწიდან ჩემი მთები შემოგბღავიან,
ძალიან მინდა გითხრათ რაღაც თბილი, ართქმული,
ვთქვათ და შევძელი, ვით გაიგებთ, ვაი, ბრალია?!

ამ მუჭა მიწას მდინარეთა ჩაეწნა კვნესა,
პონტოს ტალღების შრიალი თუ მოთქმა კოლხური;
მასში ასპინძის მოქნეული სიმღერა კვესავს,
წელგამართული... კრწანისთან კი წელში მოხრილი!

ორმოცი წელი თქვენ გიცდიდით, მოვდივარ, მწველი
თან მხრებს მიმძიმებს ჩემი წლების კიდევ ორმოცი!
მამავ, ბიძებო, ეს ცხოვრება ყოფილა ძნელი,
როცა არ უჩანს ბოლო მოლოდინს!

გელოდით დიდხანს, სულ ამაოდ, თურმე გელოდით,
დღეს გადავწყვიტე შევაშფოთო თქვენი სიმშვიდე.
ვდარდობდი თქვენზე, როცა ჩემთვის ჩუმად ვმღეროდი,
ტკბილხმოვანობას ლექსისას ხომ სევდა მიშლიდა!

და უნდა ითქვას ახლა ჩემი ყველა სათქმელი,
არ მერიდება ცრემლების და... ის ვაჟკაცს შვენის,
მოვდივარ თქვენთან ერთი მუჭა სანთელ-საკმევლით!
დე, იყოს იგი მკვდრის მზის ბოლო სხივების მფენი...

ხუთი ძმა კობაიძე იბრძოდა დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. მათგან ერთი, არსენ კობაიძე, დაბრუნდა შინ.
სურათზე: არსენ კობაიძე შვილიშვილთან ერთად.

სამამულო ომის დღიური
1941-1945

1941 წლის 22 ივნისს, დილის 4 საათზე, ფაშისტური გერმანია ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა საბჭოთა კავშირს. ჩვენი სამშობლოს წინააღმდეგ ომში ჩაებნენ აგრეთვე უნგრეთი, იტალია, რუმინეთი, ფინეთი.

მტერი მიზნად ისახავდა 2-3 თვეში ელვისებური დარტყმით გაენადგურებინა წითელი არმია, დაემონებინა და თავისი ინტერესებისათვის დაემორჩილებინა საბჭოთა ხალხი.

გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად, 1941 წლის შემოდგომამდე გერმანელ ფაშისტთა რჩეული დივიზიები გაფთრებით მოწევდნენ წინ.

მტერმა მეორე მსოფლიო ომში პირველი გამანადგურებელი დარტყმა მოსკოვთან იწვნია.

... 1941 წლის 19 ოქტომბერს მოსკოვში საალყო მდგომარეობა გამოცხადდა.

ქალაქის გმირმა დამცველებმა ფაშისტები მოსკოვის მისადგომებთან შეაჩერეს. 5 დეკემბერს, თავდაცვითი ბრძოლების შემდეგ, ჩვენი ჯარები შეტევაზე გადავიდნენ და მტერი მოსკოვიდან 150-400 კილომეტრის დაშორებით გარეკეს.

მოსკოვთან ბრძოლაში წითელმა არმიამ ფაშისტების 50 დივიზია გაანადგურა.

1941 წლის 1 იანვარს ვაშინგტონში 26 ქვეყნის წარმომადგენელმა ხელი მოაწერა დეკლარაციას, რომელიც ითვალისწინებდა სამხედრო და ეკონომიკური რესურსები ფაშისტური ბლოკის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოეყენებინათ.

...1942 წლის გაზაფხულზე მტერი სტალინგრადს მიადგა. გაჩაღდა ბრძოლები კავკასიის დასაცავად.

სტალინგრადის ეპოპეა 200 დღეს გრძელდებოდა. ამ ხნის მანძილზე, მტერმა საბჭოთა კავშირ-გერმანიის მთელ ფრონტზე განლაგებული თავისი სამხედრო ძალის მეოთხედი დაკარგა.

ვოლგაზე ჰიტლერელთა განადგურებამ ძირეული გარდატეხა შეიტანა მეორე მსოფიო ომის მსვლელობაში.

რამდენიმე თვის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ გერმანელმა ფაშისტებმა დიდი კრახი განიცადეს კავკასიაშიც.

...1943 წლის იანვარში ჩვენმა ჯარებმა ლენინგრადის ბლოკადა გაარღვიეს.

იმავე წლის გაზაფხულზე, სავალალო მდგომარეობიდან თავის დასაღწევად, გერმანიასა და მის მოკავშირე ქვეყნებში ტოტალური მობილიზაცია ჩატარდა. ფაშისტებმა უამრავ ძალებს მოუყარეს თავი. კურსკის შვერილთან დადგა მტრის 900 ათასი ჯარისკაცი, 2700 ტანკი, 10 ათასამდე ქვემეხი და ნაღმსატყორცნი, 2 ათასზე მეტი თვითმფრინავი.

საბჭოთა კავშირმა ამ დროისათვის საერთო ეკონომიკური და სამხედრო პოტენციალით უკვე გაუსწრო ფაშისტურ გერმანიას.

შეტევაზე გადასულმა საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა კურსკის შვერილზე გამანადგურებელი დარტყმა აგემეს მტერს.

ამ დამარცხების შემდეგ ფაშისტური გერმანიის არმიამ წელში გამართვა ვეღარ შეძლო. სტრატეგიული უპირატესობა საბოლოოდ ჩვენს ხელთ გადმოვიდა.

...1944 წელი აღინიშნა საბჭოთა მიწა-წყლიდან ოკუპანტების განდევნით. იმავე წლის ზაფხულში ლა-მანშის სანაპიროსთან ჩვენმა მოკავშირეებმა მეორე ფრონტი გახსნეს.

საბჭოთა არმიამ, რომელიც თავის ინტერნაციონალურ მისიას ასრულებდა, ფაშისტური მონობის უღლისაგან გაათავისუფლა რუმინეთი, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, იუგოსლავია და ჩრდილო ნორვეგიის რაიონები. ჩვენი ჯარები ფაშისტური გერმანიის ტერიტორიაზე შევიდნენ.

1945 წლის თებერვლის პირველ რიცხვებში ჩვენმა ჯარებმა გადალახეს ოდერი და სტრატეგიულად ხელსაყრელი პირობები შექმნეს ბერლინისკენ გასაჭრელად.

ბერლინის შტურმი 16 აპრილს დაიწყო. 30 აპრილს უფროსმა სერჟანტმა მ. ეგოროვმა და სერჟანტმა მ. ქანთარიამ რაიხსტაგზე გამარჯვების წითელი დროშა ააფრიალეს.

9 მაისს ბერლინის გარეუბან კარლსხორსტში ხელი მოაწერეს აქტს ფაშისტური გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციაზე.

დიდი სამამულო ომი, რომელიც 1418 დღე მძვინვარებდა, საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი გამარჯვებით დამთავრდა.

ყველაზე დემოკრატიული უფლებები

რევაზ დოლიძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

საბჭოთა ადამიანები გულდაჯერებით, გაბედულად შეჰყურებენ მომავალს, ოპტიმისტურად სახავენ გეგმებს, ენერგიულად და გმირულად დგანან შრომითს ვახტზე. მათი იდეური რწმენის სიმტკიცე ემყარება მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრებას. რაც უფრო ღრმად აღწევს მეცნიერულ-მატერიალისტური მსოფლმხედველობა მშრომელთა შეგნებაში, მით უფრო სწრაფად იზრდებიან ისინი სულიერი თვალსაზრისით, მით უფრო წარმატებით სრულდება კომუნისტური მშენებლობის გეგმები.

უკანასკნელ დროს რეაქციულმა წრეებმა დასავლეთში და ამერიკის შეერთებულ შტატებში გააძლიერეს ანტისაბჭოთა პროპაგანდა, თავდასხმები საბჭოური ცხოვრების წესზე, ფართოდ იყენებენ სხვადასხვა სახის მონაჭორს საზოგადოებრივი აზრის დეზინფორმაციისათვის.

სოციალისტური ქვეყნებისა და მსოფლიოს პროგრესული ძალების პოზიციების განმტკიცება სერიოზულ შეშფოთებას იწვევს საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეებში, რომლებსაც სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ თავიანთი იდეოლოგიური ლაშქრობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად ადამიანის უფლებების საკითხის დამახინჯებული განმარტება აურჩევიათ.

იმპერიალიზმის დამცველები და მათი დამქაშები ცდილობენ, შეასუსტონ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების ავტორიტეტი და გავლენა საერთაშორისო ასპარეზზე. ამ მიზნით სხვადასხვა ჯურის „სოვეტოლოგები“, პროფესიული თეორეტიკოსი ექსპერტები, რომლებიც ემსახურებიან ბურუჟაზიულ პროპაგანდისტულ სამსახურებს, იყენებენ ბინძურ მონაჭორს, თითქოს საბჭოთა კანონმდებლობა ლახავდეს ადამიანის უფლებებს. ისინი განზრახ არაფერს ამბობენ იმაზე, რომ სწორედ საბჭოთა კავშირია პირველი დიდი სახელმწიფო, რომელმაც მიიღო საერთაშორისო პაქტები ადამიანის სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ, რომ საბჭოთა კავშირია ადამიანის უფლებების საერთაშორისო-სამართლებრივი აღიარების ინიციატორი.

საბჭოთა სახელმწიფოს მთელი ისტორია ადასტურებს, რომ ადამიანის უფლებების პრობლემა პრინციპულად დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების პირველ დღეებშივე გადაწყდა. საბჭოთა სახელმწიფომ, პირველმა მსოფლიოში, იერარქიული წესით გამოაცხადა და უზრუნველყო ადამიანის უფლებები და დაიწყო მათი განხორციელება.

კაცობრიობის ისტორიაში არის დოკუმენტები, რომლებმაც უდიდესი გავლენა მოახდინეს პოლიტიკური შეხედულებების ფორმირებაზე, საზოგადოებრივი განვითარების თეორიასა და პრაქტიკაზე. მათ შორის თვალსაჩინო ადგილი უკავია საბჭოთა კონსტიტუციას — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ძირითად კანონს. კონსტიტუციაში განსაკუთრებით ნათლად არის ასახული ოქტომბრის რევოლუციის დროს საბჭოთა ხალხის მიერ მოპოვებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, უდიდესი მიღწევა — მოქალაქეთა დემოკრატიული უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფა, საუკუნის მანიფესტი — საბჭოთა კონსტიტუცია ასახავს სოციალისტური დემოკრატიის გრანდიოზულ მონაპოვრებს, მოქალაქეთა ფართო პოლიტიკურ უფლებებს.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია, როგორც სარკე, ასახავს სოციალისტური საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანეს ეტაპებს სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის გზაზე. საბჭოთა სახელმწიფოს პირველი აქტებით, უწინარეს ყოვლისა, დიდი ლენინის მიერ ხელმოწერილი მშრომელი და ექსპლოატირებული ხალხის უფლებათა დეკლარაციით დაწყებული, საბჭოთა კონსტიტუციაში საკანონმდებლო წესით შეტანილია სოციალისტური სახელმწიფოებრიობის ფუძემდებელი პრინციპები, რომლებიც მდიდრდებოდა და ვითარდებოდა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მთელი ისტორიის მანძილზე და ახლაც უდევს საფუძვლად საბჭოთა საზოგადოებას.

სსრ კავშირის კონსტიტუცია საკანონმდებლო წესით ამკვიდრებს წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებას და აცხადებს მშრომელთა ხელისუფლებას მუშათა კლასისა და მისი მოწინავე რაზმის — კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

სოციალისტური სახელმწიფო მშრომელი ადამიანის დემოკრატიული თავისუფლებაა. მასში ასახულია პოლიტიკური სტრუქტურის ორგანიზაციის პრინციპები, ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოს ამოცანები და ფუნქციები, სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთობის ხერხი. ამავე დროს კონსტიტუცია გამოხატავს საზოგადოების სწრაფვას მომავლისაკენ, მოქალაქეთა შეხედულებებსა და განწყობილებებს, მათს გეგმებს, მათს პოზიციებს, მათს დამოკიდებულებას სახელმწიფოსადმი; საზოგადოებისა და თანამოსაქმეებისადმი, თავიანთი უფლებებისა და მოვალეობებისადმი.

1977 წლის კონსტიტუცია განსაზღვრავს და ამკვიდრებს პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს გადაზრდას საერთო-სახალხო სახელმწიფოდ. აღნუსხავს საზოგადოების ცხოვრების იმ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და სულიერ ფაქტებს, რომლებიც ხელს უწყობდნენ ამ სიღრმივ პროცესს. ახალმა ძირითადმა კანონმა მოგვცა საერთო-სახალხო სახელმწიფოს დეტალურად შემუშავებული დახასიათება. საერთო-სახალხო სახელმწიფოს ფარგლებში სახალხო მეურნეობის ორგანიზაციისათვის მუშაობის გიგანტური მოცულობის განსაზღვრასთან ერთად უდიდესი ყურადღება ეთმობა მოვალეობებს, რომლებიც მას ეკისრება პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ხელსაყრელი პირობების შექმნის დარგში. ამასთან დაკავშირებით მითითებულია მოქალაქეთა პირად ცხოვრებაზე საერთო-სახალხო სახელმწიფოს ზემოქმედების ფორმები და საშუალებანი. ამგვარად, სსრ კავშირის კონსტიტუციაში გამოხატული განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ძირითადი პრინციპები, რომლებიც ბიძგს აძლევს თეორიული აზრის განვითარებას, მშრომელთა აღმშენებლობითს შემოქმედებას და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტიურობას.

კონსტიტუცია აცხადებს საბჭოთა კავშირში მცხოვრები ერებისა და ხალხების თანასწორობას და ამკვიდრებს ერთიან საკავშირო მოქალაქეობას. მოკავშირე რესპუბლიკის ყოველი მოქალაქე სსრ კავშირის მოქალაქეა. საბჭოთა კავშირის ყველა მოქალაქე თანასწორია კანონის წინაშე წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებების მიუხედავად. ქალსა და მამაკაცს თანასწორი უფლებები აქვთ.

სსრ კავშირის მოქალაქეებს სრულად აქვთ მინიჭებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც გამოცხადებული და გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საბჭოთა კანონებით. სსრ კავშირის კონსტიტუცია ამკვიდრებს და უზრუნველყოფს მოქალაქეთა ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს, ე. ი. იმ სოციალურ-ეკონომიკურ უფლებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოქალაქეების, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნებისა და ინტერესების დაკმაყოფილებას და შეხამებას. ისინი შედგებიან უფლებებისა და თავისუფლებებისაგან სოციალურ-ეკონომიკურ დარგში, კულტურის დარგში, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეობის დარგში, მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში და შეიცავენ: შრომის უფლებას, ანუ უფლება მიიღონ გარანტირებული სამუშაო რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისი ანაზღაურებით, მათ შორის უფლება — აირჩიონ პროფესიად საქმიანობის სახეობა; დასვენების უფლება; ჯანმრთელობის დაცვისა და სიბერეში, ავადმყოფობის, შრომის უნარის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკარგვის, აგრეთვე მარჩენალის დაკარგვის შემთხვევებში მატერიალური უზრუნველყოფის უფლება, ბინის უფლება; განათლების უფლება, კულტურის მიღწევებით სარგებლობის უფლება.

ამის შესახებ 1977 წ. კონსტიტუციის 39-ე მუხლში ნათქვამია: „სსრ კავშირის მოქალაქეებს სრულად აქვთ მინიჭებული სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც გამოცხადებული და გარანტირებულია სსრ კავშირის კონსტიტუციითა და საბჭოთა კანონებით. სოციალისტური წესწყობილება უზრუნველყოფს უფლებათა და თავისუფლებათა გაფართოებას, მოქალა-

ქეთა ცხოვრების პირობების განუწყვეტელ გაუმჯობესებას სოციალისტურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პროგრამების შესრულების კვალობაზე.

მოქალაქეთა მიერ უფლებებისა და თავისუფლებების გამოყენება არ უნდა ვნებდეს საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს და სხვა მოქალაქეთა უფლებებს".

მშრომელების ინტერესების შესაბამისად და სოციალისტური წყობილების განმტკიცების მიზნით სსრ კავშირის მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ სიტყვის, ბეჭდვითი სიტყვის, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების თავისუფლება. სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ სინდისის თავისუფლება, ანუ უფლება აღიარებდნენ ნებისმიერ რელიგიას ან არ აღიარებდნენ არავითარ რელიგიას, ასრულებდნენ რელიგიურ კულტებს, ან ეწეოდნენ რელიგიურ პროპაგანდას. სსრ კავშირში ეკლესია გამოყოფილია სახელმწიფოსაგან და სკოლა-ეკლესიისაგან. სსრ კავშირის მოქალაქეებს გარანტირებული აქვთ პიროვნების, ბინის ხელშეუხებლობა, მიმოწერის, სატელეფონო საუბრებისა და სატელეგრაფო შეტყობინების საიდუმლო.

უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელება განუყოფელია მოქალაქეების მიერ თავიანთ მოვალეობათა შესრულებისაგან. სსრ კავშირის მოქალაქე ვალდებულია, იცავდეს სსრ კავშირის კონსტიტუციას და საბჭოთა კანონებს, პატივს სცემდეს სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს, კეთილსინდისიერად შრომობდეს საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობის არჩეულ დარგში; იცავდეს შრომის დისციპლინას; უფრთხილდებოდეს და განამტკიცებდეს სოციალისტურ საკუთრებას. სოციალისტური სამშობლოს დაცვა სსრ კავშირის თითოეული მოქალაქის წმიდათაწმიდა ვალია. სსრ კავშირის მოქალაქეთა საპატიო მოვალეობაა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში სამხედრო სამსახური.

სსრ კავშირის მოქალაქენი მოვალენი არიან, პატივს სცემდნენ სხვა პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, ზრუნავდნენ შვილების აღზრდისათვის, უფრთხილდებოდნენ ბუნებას, იცავდნენ მის სიმდიდრეებს.

ჩვენი სახელმწიფოს ძირითადი კანონი ყოველივე ამას საქმით უზრუნველყოფს. საბჭოთა ადამიანებისათვის უცნობია ხვალინდელი დღის შიში, უმუშევრობის, უსახლკარობის, სამედიცინო დახმარების, სიბერეში უზრუნველყოფის გარეშე დარჩენის შიში.

საბჭოთა კონსტიტუციამ შექმნა პიროვნების ყოველმხრივი განვითარების განუსაზღვრელი შესაძლებლობანი. იგი უზრუნველყოფს სსრ კავშირის მოქალაქეთა ფართო დემოკრატიულ უფლებებსა და თავისუფლებებს საზოგადოების ცხოვრების ყველა დარგში. საკანონმდებლო წესით იძლევა მათი განხორციელების გარანტიას. საზოგადოების ყველა წევრის კეთილდღეობა, ყოველმხრივი განვითარება და თავისუფლება — აი, ის ძირითადი ლენინისეული კრიტერიუმები, რომლებიც წარმოაჩენენ ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრებული რეალური ჰუმანიზმის საზოგადოების არსს.

განვითარებული სოციალიზმის ეტაპზე, — საერთო-სახალხო სახელმწიფოს პირობებში მტკიცედ დამკვიდრდა ქვეყნის ცხოვრების მართვაში მშრომელთა მასების სულ უფრო ფართო და აქტიური მონაწილეობა, როგორც საბჭოთა საზოგადოების პოლიტიკური განვითარების ცენტრალური მიმართულება.

ნამდვილი ჰუმანიზმით და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლით არის განმსჭვალული საბჭოთა სახელმწიფოს ძირითად კანონში კონსტიტუციურად დამკვიდრებულ მშვიდობისმოყვარული საგარეო პოლიტიკა.

იდეოლოგიური ბრძოლის თანამედროვე ეტაპზე ადამიანის უფლებების პრობლემას ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია მსოფლიო ასპარეზზე პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ბრძოლაში. მთელი მსოფლიოსათვის ცნობილია კაპიტალისტური ქვეყნების ადამიანის უფლებების დარღვევის აღმაშფოთებელი ფაქტები.

ასე, მაგალითად: „ამერიკის ხელისუფალნი არამარტო აწმყოს ართმევენ ინდიელებს, არამედ მომავლის იმედსაც, შვილოსნობის ასაკის ინდიელ ქალთა 24 პროცენტს სტერილიზაცია ჩაუტარეს. მათი შვილების დაახლოებით მესამედს ძალდატანებით აღსაზრდელად გადასცემენ არაინდიელთა ოჯახებს".

„წარმომადგენელთა პალატაშიც და სენატშიც კანონმდებელთა დიდ უმრავლესობას (შესაბამისად 346 და 85) იურისტები ბიზმესნები, ყოფილი თანამდებობის პირები შეადგენენ. შედარებისათვის მოვიყვანთ ასეთ მაგალითს: მაგალითად, ფერმერებიდან წარმომადგენელ პალატაში ირჩევენ 15 კაცს, სენატში კი — 4. რაც შეეხება სამრეწველო მუშებს, სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატს, დაბალხელფასიან მოსამსახურეებს, კონგრესში მათ საერთოდ არა აქვთ ადგილები".

მარტო სოციალიზმის ქვეყნებმა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის მოსპობისა და სოციალისტური დემოკრატიის განვითარების საფუძველზე უზრუნველყვეს თავიანთი მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლებების რეალური განხორციელება. ეს უფლებები გამოცხადებულია სოციალისტური ქვეყნების კონსტიტუციებში და სხვა საკანონმდებლო აქტებში, — გარანტირებულია და ხორციელდება.

მშვიდობისათვის, ბირთვული ომის თავიდან აცილებისათვის ბრძოლა დღეს დემოკრატიის ყველაზე გადაუდებელი და უმაღლესი მოთხოვნაა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ხალხთა ცხოვრება თანასწორუფლებიანი თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების პირობებში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ხელმძღვანელობენ იმ მოსაზრებით, რომ რაც უფრო საიმედოა მშვიდობა და უშიშროება, მით უფრო ღრმა და სტაბილურია დაძაბულობის შენელება, მით უფრო მაღალია ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების უზრუნველყოფის დონე. გამალებული შეიარაღების განგრძობა, მასობრივი მოსპობის ახალ საშუალებათა შექმნა საფრთხეს უქმნის თვით ადამიანის არსებობას. განუხრელად ფართოვდება მსოფლიოს ხალხთა ბრძოლა გამალებული შეიარაღების ნეიტრალური ბომბისა და მასობრივი მოსპობის სხვა საშუალებათა წინააღმდეგ.

მშრომელები იბრძვიან სიცოცხლის უფლებებისათვის, მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის. საბჭოთა კავშირის სამშვიდობო ინიციატივები ფართო საერთაშორისო საზოგადოებრიობის მოწონებას და მხარდაჭერას იმსახურებს.

ლენინის იდეების ერთგული საბჭოთა ხალხი თავის საგარეო და საშინაო პოლიტიკაში ყოველთვის იხელმძღვანელებს მარქსიზმ-ლენინიზმის ძირითადი დებულებებით, აგრეთვე საბჭოთა სახელმწიფოს კანონებით, რომლებიც უზრუნველყოფენ სსრ კავშირის მოქალაქეთა ფართო დემოკრატიულ უფლებებს და პიროვნების ხელშეუხებლობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეკანის პირველ გვერდზე: **კავკასიას დავიცავთ.** საქართველოს სსრ სახალხო მხატვარი თენგიზ სამსონაძე.

კორექტორი ცისანა სიჭინავა

მონტაჟი ნანული დანელიასი

გადაეცა წარმოებას 3. 04. 85. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16. 05. 85. უე. 05199. ქაღალდის ზომა 70×108 1/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5, 09. ტირაჟი 48.000. შეკვ. 819. ფასი 35 კაპ.

380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008. Тбилиси 8. пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-39, განყოფილებათა გამგეების — 93-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამარჯვების პარადი. მოსკოვი, 1945 წლის 24 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა შანიძე

გამარჯვება.

გურამ ღლონტი

მშვიდობიანი ცის ქვეშ.

ცინარა ტერელაძე

უკვდავება